

ნიური ანგარიში

2016

საქართველოს
საარჩევო
აღმინისტრის



ცხოვო

საქართველოს საარჩევო
აღმინისტრის



საარჩევო სისტემების
მანებითარების, ჩატორებისა და
სფავლების ცენტრი



360° Live

**შენაგანი სამინისტრო
სამინისტრო**

**ფინანსთა
2016 წელი**



ცესატო

საქართველოს საარჩევნო აღმინისტრაცია

საარჩევნო აღმინისტრაციის მესახება

საქართველოს საარჩევნო აღმინისტრაცია არის დამოუკიდებელი აღმინისტრაციული ორგანო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში თავისუფალია სხვა სახელმწიფო ორგანოების ზეგავლენისგან და მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციისა და ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად.

საქართველოს საარჩევნო აღმინისტრაცია შედგება:

- ცესკოსა და მისი აპარატისგან
- უსკოსა და მისი აპარატისგან
- საოლქო საარჩევნო კომისიებისგან
- საუბნო საარჩევნო კომისიებისგან

საარჩევნო აღმინისტრაცია უზრუნველყოფს საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს-მერის/გამგებლის არჩევნების, რეფერენდუმისა და პლებისციტის გამართვას. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აკონტროლებს საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის შესრულებას, მის ერთგვაროვან გამოყენებას.

მისია

მიუკერძოებელი, გამჭვირვალე და პროფესიულ დონეზე აღმინისტრირებული არჩევნების ჩატარება კანონმდებლობის დაცვით და ყველა პირობის შექმნა, რათა ამომრჩევლებმა და სხვა ჩართულმა მხარეებმა თავისუფლად განახორციელონ საარჩევნო უფლება.

ხედები

საარჩევნო აღმინისტრაცია უზრუნველყოფს ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომ საარჩევნო სერვისებს და საარჩევნო პროცესის მთლიანობას, სარგებლობს საზოგადოებაში მაღალი ნდობით, თავის საქმიანობაში მუდმივად ნერგავს ინოვაციებს და საარჩევნო გარემოს განვითარებაზე ორიენტირებულ ინიციატივებს. საარჩევნო აღმინისტრაცია უზრუნველყოფს მართვის ეფექტურობისა და საარჩევნო აღმინისტრაციის პროფესიული შესაძლებლობების მუდმივ ზრდას.

2016 წელი იყო მნიშვნელოვანი წინგადაგმული ნამიჯი. გუდონია ასალი გამოწვეული, თუმცა შეკვეთით მათი წარმატებით ღამლება, რისთვისაც მაღლობას უკედი საარჩევნო აღმინისცერაციის თანამშრომლებს თავდაუტივავი შრომისთვის ღა ჩატარებულ მსარეობს – მსარღვაჭრისა ღა საარჩევნო პროცესის გამჭვირვალე წარმართვის სერმეტყოფისთვის.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმართვის თამაზ უვანის წერილი



ძეირფასო მეცნიერებო და საარჩევნო აღმინისტრაციის პარტნიორებო,

საქართველოს საარჩევნო აღმინისტრაციაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი გაიარა და კიდევ ერთი ნაბიჭი გადადგა საარჩევნო გარემოს სრულყოფისაკენ. 2016 წელს ჩვენ ჩავატარეთ ორგორუც რიგგარეშე და შუალედური, ისე ქვეყნისთვის განსაკუთრებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე საქართველოს პარლამენტის არჩევნები. აფარის უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ (უსკო) ჩაატარა აფარის ავტონომიური ოქსპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. წარმატებულად ჩატარებული საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში დემოკრატიული არჩევნების ჩატარების ტრადიცია დამკვიდრდა და საქართველო რეგიონში ლიდერ პოზიციას იკავებს.

საარჩევნო აღმინისტრაციის სტრატეგია მიმართულია ამომრჩევლებისა და ჩართული მხარეებისთვის საჭირო სერვისების შექმნისა და შეთავაზებისკენ, რათა მათ დაუბრკოლებლად შეძლონ საარჩევნო პროცესში ჩართვა და ნების თავისუფლად გამოხატვა. ამ თვალსაზრისით, 2016 წელი მნიშვნელოვანი ცვლილებების წელი იყო. ჩვენ შევქმნით ამომრჩეველთა სიაში მონაცემების გადამოწმების ახალი

ტექნოლოგიური შესაძლებლობები, მათ შორის სწრაფი გადახდის აპარატებით, ანდროიდ სისტემაზე მომუშავე მობილური ტელეფონებითა და პლანშეტებით, შევქმნით საქართველოში პირველი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ადაპტირებული ვებგვერდი და სხვა.

განსაკუთრებული სიამაყით აღვნიშნავ მრავალფეროვან საგანმანათლებლო პროექტებს, ახალგაზრდების ჩართულობისა და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის მიზნით განხორციელებულ საქმიანობას. ამ მიმართულებით მიღწეული შედეგების დადასტურებაა საერთაშორისო ჭილდო, რომელიც საარჩევნო აღმინისტრაციამ მიიღო უმცირესობების ჩართულობის ნომინაციაში.


მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ინსტიტუციური განვითარების თვალსაზრისით, ჩამოყალიბდა დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების სისტემური მიღომები, შეიქმნა გარე და შიდა კომუნიკაციის დოკუმენტები, ასევე, არჩევნების სანდოობის რისკების მართვის გეგმა.

2016 წელი იყო მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჭი. გვქონდა ახალი გამოწვევები, თუმცა შევძელით მათი წარმატებით დაძლევა, რისთვისაც მაღლობას ვუხდი საარჩევნო აღმინისტრაციის თანამშრომლებს თავდაუბოგავი შრომისთვის და ჩართულ მხარეებს – მხარდაჭერისა და საარჩევნო პროცესის გამჭვირვალედ წარმართვის ხელშეწყობისთვის.

საუკეთესო სურვილებით,

თამაზ უვანის

ცენტრალური საარჩევნო კომისიის
თავმართვის თამაზ უვანის წერილი



ცენტრალური საარჩევნო კომისიის გენერალი¹

თამარ ჯვანია, კომისიის თავმჯდომარე
ბიორგი შარაბიძე, თავმჯდომარის მოადგილე
ბიორგი ჯავახიშვილი, კომისიის მდივანი

კომისიის წევრები

ზურაბ ხრისტიანი

ბიორგი ჭიქავერიძე

ელითრი ჯავახიშვილი

მარინე წალეულიძე, პ/ვ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“

ლევან მაისერიაძე, პ/ვ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“

ლავით გარებაშვილი, პ/ვ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

ირაკლი ჭყოიძე, პ/ვ „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“

ირაკლი ხორბაძეძე, პ/ვ „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“

ლილი აბუთიძე, პ/ვ „საქართველოს კონსერვატიული პარტია“

ემზარებელი ქადაგიშვილი, პ/ვ „თავისუფალი დემოკრატები“

აცსტოს გენერალი

2016 წლის 22 ნოემბერის მიზანით

1 საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტისა და ცესკოს თავმჯდომარის 2016 წლის 22 ნოემბრის №221/2016 განვარგულების შესაბამისად, განხორციელდა ცესკოს შემადგენლობის შეცვლა, კერძოდ პარტიების: „თავისუფალი დემოკრატები“, „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ წევრები ჩაანაცვლა შემდეგი პარტიების წარმომადგენლებმა: „საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია“, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ და „ევროპული საქართველო“.



თამარ ქვეანია, კომისიის თავმჯდომარე
პიორამ შარაბიძე, თავმჯდომარის მოადგილე
პიორამ ზავანებიშვილი, კომისიის მდივანი

ქრისტიან გეგეთიშვილი

- პიორამ ფიქანერიძე
ერიქონი ზავანებიძე
არჩევა წევრული, პ/გ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“
დევან მაისურაძე, პ/გ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“
დავით გურავიძე, პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
ირაკლი ჭყობიძე, პ/გ „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“
ხათუა საინტელი, პ/გ „პატრიოტთა ალიანსი“
დავით ქირთაძე, პ/გ „ევროპული საქართველო“
დავით ბოჭირიძე, პ/გ „საქართველოს ქრისტიან-კონსერვატორები“

სასკოს მემაღლეობა

2016 წლის 31 დეკემბერის მდგრადიობით

2016 წელს, გარდა ცესკოს სხდომებისა, ცესკოს წევრები აქტურად იყვნენ ჩართული სხვადასხვა სამუშაო ჰეთავის (გენდერული თანასწორობის საბჭო, ეთნიკური უმცირესობების და შემ პირების საკითხებზე მომუშავე ჰეთავის) მუშაობაში, სასწავლო მასალების მომზადებაში, საკანონმდებლო ინიციატივების განხილვასა და საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტების მონიტორინგში. მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიებში, კონფერენციებსა და სამუშაო შეხვედრებში.

საქართველოს აუტორიზირებული საარგენტო კომისია და სცავების აუტორი თანამშრომალისთვის მაღლას გენერალური მართვის



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების
სააგენტოს (USAID) სხვადასხვა პროექტების განხორციელებისას
განეული ფინანსური მხარდაჭერისთვის.

საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდს (IFES)
თანამშრომლობისა და სხვადასხვა პროექტების განხორციელებაში
შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის.



COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

ევროპის საბჭოს (CoE) სხვადასხვა პროექტების განხორციელებისას
განეული ფინანსური მხარდაჭერისთვის.

ვენეციის კომისიას ექსპერტული დახმარებისა და მჯიდრო
თანამშრომლობისთვის.





ცენტრალური საარჩევნო კომისია აფასებს და
მადლობას უხდის ევროპის კავშირს (EU) და
გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP) ცესკოში
გამართული ტექნიკური სამუშაო ჯგუფის (TWG)
საქმიანობის ხელშეწყობისთვის.



საპარლამენტო სწავლებების საერთაშორისო ცენტრს (ICPS) საარჩევნო
აღმინისტრაციების რიგით მეექვსე ყოველწლიური შეხვედრის
ორგანიზაციული და ფინანსური მხარდაჭერისთვის.

ასევე, მადლობას უხდის ყველა ორგანიზაციას და მათ წარმომადგენლებს, რომლებმაც 2016
წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღეს ცესკოში შექმნილი მიზნობრივი სამუშაო ჯგუფების
მუშაობაში და წვლილი შეიტანეს საარჩევნო აღმინისტრაციის პრიორიტეტული საქმიანობების
დაგეგმვასა და განხორციელებაში.

ცესკო მადლობას უხდის საარჩევნო აღმინისტრაციის თითოეულ თანამშრომელს
პროფესიონალური სტანდარტებისა და საარჩევნო მოხელის ეთიკის ნორმების
შესაბამისად შესრულებული სამუშაოსთვის.

სარჩევი

შესავალი 14

საარჩევნო ადმინისტრაციის ძირითადი მიღწევები 16

სტრატეგიული პრიორიტეტი 1: ინსტიტუციური გაძლიერება 25

მიზანი 1: ეფექტური მართვის უზრუნველყოფა 26

მიზანი 2: ადამიანური რესურსების განვითარება 34

მიზანი 3: ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება 43

მიზანი 4: იმიჯის განმტკიცება 48

სტრატეგიული პრიორიტეტი 2: სამოქალაქო და ამომრჩევლის განათლება 61

მიზანი 1: სამოქალაქო და ამომრჩევლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება 62

მიზანი 2: საარჩევნო კულტურის განვითარება 67

მიზანი 3: სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა 73

სტრატეგიული პრიორიტეტი 3: საარჩევნო გარემო 81

მიზანი 1: სამართლებრივი ჩარჩოს დახვენაში მონაწილეობა 82

მიზანი 2: არჩევნების მთლიანობის (Integrity) უზრუნველყოფა 86

მიზანი 3: ინკლუზიური საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა 87

მიზანი 4: გენდერულად დაბალანსებული და თანაბარი გარემოს ხელშეწყობა 92

მიზანი 5. საარჩევნო ოლქებისა და უბნების საზღვრების დადგენის პროცესის დახვენა 94

სტრატეგიული პრიორიტეტი 4: საარჩევნო ოპერაციები 99

მიზანი 1: არჩევნების ორგანიზება/ჩატარება 100

მიზანი 2: საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა კვალიფიკაციის ამაღლება 102

მიზანი 3: ჩართული მხარეებისთვის არჩევნებთან დაკავშირებული ზუსტი
ინფორმაციის დროულად მიწოდება 106

დასკვნა 110

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო) დღეს გამორჩეულად გაზრდილი ნდობით სარგებლობს საზოგადოებაში. პროფესიულ დონეზე ჩატარებულმა არაერთმა არჩევნებმა ცესკოს მიმართ საზოგადოების ნდობა აამაღლა და ორგანიზაციის იმიჯი, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, კიდევ უფრო განამტკიცა.

ცესკო, მისი აპარატი და სსიპ – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი (სწავლების ცენტრი) თავის საქმიანობას წარმართავენ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, საარჩევნო ადმინისტრაციის 2015-2019 წლების სტრატეგიული და წლიური სამოქმედო გეგმების შესაბამისად. სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულია შემდეგი სტრატეგიული პრიორიტეტები:

ინსტიტუციური გაძლიერება – მოიცავს საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობის, პროფესიონალიზმისა და სანდოობის განმტკიცებას, ეფექტური საბიუჰესტო პოლიტიკისა და უწყვეტ ორგანიზაციულ და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული სისტემის დამკვიდრებას და დემოკრატიული პროცესების განვითარებაში წვლილის შეტანას.

სამოქალაქო და ამომრჩევლის განათლება – მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით საარჩევნო პროცესებში სამოქალაქო ჩართულობის დონის ამაღლებას,

ამომრჩეველთა აქტივობის ზრდისა და ინფორმირებული არჩევანის გაკეთების ხელშეწყობას.

საარჩევნო გარემო – მოიცავს საარჩევნო პროცესებში ჩართული მხარეების აქტიური მონაწილეობით მაქსიმალურად ინკლუზიური საარჩევნო გარემოს შექმნასა და კანონმდებლობის დახვეწის პროცესის ხელშეწყობას.

საარჩევნო ოპერაციები – მოიცავს არჩევნების ორგანიზებას მაღალპროფესიულ დონეზე, არჩევნების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ საზოგადოების დროულ ინფორმირებასა და ინფორმაციის საჭაროობის უზრუნველყოფას.

საქმიანობების განხორციელების პროცესში ცესკო ხელმძღვანელობს გაცხადებული სამოქმედო პრინციპებით:

დამოუკიდებლობა – საარჩევნო ადმინისტრაცია არის დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც მოქმედებს მხოლოდ კანონის ფარგლებში და არ ექცევა პოლიტიკური გავლენის ქვეშ.

გამჭვირვალობა – საარჩევნო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ამომრჩევლებისა და საარჩევნო პროცესში ჩართული სხვა მხარეებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და საკუთარი საქმიანობის ღიაობას.

პროფესიონალიზმი – საარჩევნო ადმინისტრაცია საქმიანობას ახორციელებს კვალიფიციური და კომპეტენტური ადამიანური რესურსებით.

ანგარიშვალდებულება – საარჩევნო ადმინისტრაცია პასუხისმგებელია საკუთარ ქმედებებზე და შესაბამის ინსტიტუციებსა და ამომრჩევლებს რეგულარულად წარუდგენს ანგარიშს განეული საქმიანობის შესახებ.

ინკლუზიურობა – საარჩევნო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი საარჩევნო გარემოს შექმნას.

საარჩევნო ადმინისტრაციამ 2016 წელს კანონმდებლობის შესაბამისად, გამჭვირვალე გარემოში ჩატარა საქართველოს პარლამენტის, 2 რიგგარეშე და 3 შუალედური არჩევნები. თითოეული ამომრჩევლისთვის ყველა პირობა იყო შექმნილი ნების თავისუფალი გამოხატვისთვის.

2016 წელს ცესკოს ხელმძღვანელობით, შესაბამისი საოლქო და საუბნო კომისიების მიერ ჩატარდა შემდეგი არჩევნები:

თვითმმართველი თემის – გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 28 იანვრის რიგგარეშე არჩევნები;

ქალაქ თბილისის, გარდაბნის, კასპის, წყალტუბოს, ქალაქ ოზურგეთის, ხობისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების საკრებულოების 2016 წლის 22 მაისის შუალედური არჩევნები;

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნები;

თვითმმართველი ქალაქის – ახალციხის მერისა და თვითმმართველი თემების – ბოლნისის, ხარაგაულის, ჭიათურის, ზუგდიდისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტების გამგებლების 2016 წლის 8 ოქტომბრის რიგგარეშე არჩევნები;

ქალაქ თბილისის, წალკის, ჭიათურის, აბაშისა და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტების საკრებულოების 2016 წლის 8 ოქტომბრის შუალედური არჩევნები

ლაგოდეხისა და სენაკის მუნიციპალიტეტების საკრებულოების 2016 წლის 30 ოქტომბრის შუალედური არჩევნები.

ჩართულ მხარეებთან კოორდინირებული მუშაობისა და კონკრეტული აქტივობების შეთანხმებულად განხორციელებისთვის გაფორმდა 3 მემორანდუმი: „წინასაარჩევნო აგიტაციისა და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ“, „არჩევნების უსაფრთხო და მშვიდ გარემოში ჩატარების შესახებ“ და „ქცევის კოდექსი“.²

2016 წელს პირველად გაფორმდა საარჩევნო ადმინისტრაციისა და ადგილობრივ დამკავირვებელ ორგანიზაციებს შორის ქცევის კოდექსი და ცესკოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს, ცესკოსა და სწავლების ცენტრის მიერ 2016 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე, საარჩევნო ადმინისტრაციის 2016 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად განხორციელებული საქმიანობების აღწერას.

2 ქცევის კოდექსი, ცესკოს თავმჯდომარის ინიციატივით, სპეციალურად შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა. ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ როგორც ცესკოსა და სწავლების ცენტრის, ისე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების: ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების, საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს, განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის, სამოქალაქო მოძრაობა – მრავალეროვანი საქართველოს, არასამთავრობოთა კოალიცია სამოქალაქო განვითარებისთვის და ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები.

საარევნო აღმისაშრაცის ძირითადი მიღწევები

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების გამჭვირვალედ და დემოკრატიულად ჩატარება საქართველოს გერმანიის, ლიტვის, ლატვიის, შვედეთის, დიდი ბრიტანეთისა და ესპანეთის მთავრობებმა მიუღოცეს. ცესკოს მიერ აღმინისტრირებულმა არჩევნებმა საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების დადებითი შეფასება დაიმსახურა.

//

ცესკოს ხელმძღვანელობით, საარჩევნო აღმინისტრაცია დროულად და პროფესიონალურად მუშაობდა და ცესკომ საარჩევნო პროცესებში ჩართული არჩევნებში მონაწილე მხარეების მხრიდან მაღალი ნდობა დაიმსახურა.

//

საერთაშორისო სახამფლივებელი მისია
OSCE/ODIHR, OSCE PA, EP, PACE, NATO PA

//

საპარლამენტო არჩევნებით, საქართველომ კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი სტატუსი, ის არის დემოკრატიული გარდაქმნის კუთხით ღიდერი ქვეყანა ამ რეგიონში... არჩევნების ამგვარად გამართვა ძალიან დიდ იმედს გვაძლევს და გვამხნევებს ჩვენ, რომ მხარი დავუჭიროთ საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე.

//

პალიტ ხელი
ნატოს საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელი

//

მე ვულოცავ საქართველოს მოსახლეობას 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას. საერთაშორისო დამკვირვებლებმა შეაფასეს, რომ ხმის მიცემის პროცესი იყო კონკურენტუნარიანი, კარგად აღმინისტრირებული და ძირითადად დაცული იყო ფუნდამენტური თავისუფლებები.

//

ჯეიმს ჩარლზი
NATO-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი

დადებით შეფასებებთან ერთად საერთაშორისო დამკვირვებლების ანგარიშებში მოცემულია გარკვეული შენიშვნები, ყურადსაღები საკითხები, რომლებიც მეტ მუშაობას მოითხოვს. ამასთან, წარმოდგენილია ღირებული რეკომენდაციები, რომელთა განხორციელებაც საარჩევნო პროცესის დახვენას და შემდგომ გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. საარჩევნო ადმინისტრაცია გეგმავს ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გათვალისწინებით წარმართოს სამომავლო საქმიანობა და კომპეტენციის ფარგლებში, არჩევნებისთვის შექმნას შესაბამისი პირობები, საქართველოს მოქალაქეთა ნების თავისუფლად გამოხატვის უზრუნველსაყოფად.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) 2016 წლის ნოემბერში ჩატარებული კვლევის თანახმად, კითხვაზე „თქვენი აზრით, როგორ ჩაატარეს/წარმართეს 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები საარჩევნო პროცესზე პასუხისმგებელმა ორგანოებმა (ცენტრალური საარჩევნო კომისია, საოლქო საარჩევნო კომისია, საუბნო საარჩევნო კომისია)?“ „კარგად“ – უპასუხა გამოკითხულთა 47%-მა, „საშუალოდ“ – 36%-მა, „ცუდად“ – 6%-მა და „არ ვიცი“ – 11%-მა.

საერთაშორისო საარჩევნო ჭილდო

2016 წელს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია, საპარლამენტო სწავლებების საერთაშორისო ცენტრის (ICPS) მიერ ორგანიზებულ დაჭილდოებაზე, საერთაშორისო საარჩევნო ჭილდოს მფლობელი გახდა ნომინაციაში „უმცირესობების ჩართულობა“.³

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ადაპტირებული საარჩევნო გარემოს შექმნაში ლიდერ ინსტიტუციად დასახელდა.



³ საერთაშორისო საარჩევნო ჭილდოს შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: <http://awards.electoralnetwork.org/shortlist-2016.php>

**სწავლების ცენტრის ჭილდო საჯარო
ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
უზრუნველყოფისთვის**

ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტმა (IDFI)
და ფონდმა „ღია საზოგადოება –
საქართველო“ 2016 წლის
ყველაზე ღია საჯარო
დაწესებულებებს შორის
დაასახელა სწავლების ცენტრი.



არჩევნების უსაფრთხოება

2016 წელს, შესაძლო რისკების ქმედითი მართვის მიზნით, ცესკომ დაამტკიცა არჩევნების სანდოობის რისკების მართვის გეგმა (Integrity Management Plan) და აიღო ვალდებულება მისი პასუხისმგებლობის და კომპეტენციის ფარგლებში მართოს ქვეყანაში დემოკრატიული არჩევნების სანდოობა იმ მიდგომების და მეთოდების საფუძველზე, რომლებიც წარმოდგენილია გეგმაში. არჩევნების სანდოობის რისკების მართვის გეგმა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო სისტემების ფონდის (IFES) მხარდაჭერით შეიქმნა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საარჩევნო აღმინისტრაცია საერთაშორისო გამოცდილებით არის გამონაკლისი, ვისაც გააჩნია ასეთი გეგმა და ახორციელებს მას.

აღნიშნული გეგმის საფუძველზე, ცესკოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმის შედეგად, მოხდა კენჭისყრის პროცესის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ახალი მიდგომის დანერგვა და ინსტიტუციონალიზაცია. ამ მიზნით საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ექსპერტის რეკომენდაციისა და საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებით, სწავლების ცენტრმა შეიმუშავა ინოვაციური სასწავლო მოდულები – „კონფლიქტების მართვა“ და „არჩევნების უსაფრთხოება“. მოდულები ინტეგრირებული იყო საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების სასწავლო პროგრამაში.

განხორციელებულმა საქმიანობამ საარჩევნო აღმინისტრაციას საშუალება მისცა საარჩევნო პროცესი მშვიდ გარემოში წარემართა.



საარჩევნო ადმინისტრაციისა და დამკვირვებელი ორგანიზაციების ერთობლივი ქცევის კოდექსი

2016 წელს პირველად შემუშავდა და ხელი მოეწერა საარჩევნო ადმინისტრაციისა და დამკვირვებელი ორგანიზაციების ერთობლივ ქცევის კოდექსს.⁴ მხარეები შეთანხმდნენ, რომ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების სამართლიანად და გამჭვირვალედ ჩატარების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს კანონმდებლობით, არჩევნების საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტებითა და აღნიშნული ქცევის კოდექსით იხელმძღვანელებდნენ.

მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ახალი საზღვრების დადგენა

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დადგინდა ქალაქ თბილისის, რუსთავის, ქუთაისის და ბათუმის მუნიციპალიტეტებში 30

ერთმანდატიანი მაჟორიტარული

ოლქის საზღვრები. ცესკომ

საზღვრების დადგენის პროცესი

წარმართა გამჭვირვალედ.

საზღვრების დამტკიცებამდე

პროექტი წარუდგინა საარჩევნო

პროცესში ჩართულ მხარეებს

და გადასცა საარჩევნო


ოლქების სპეციალურად

შექმნილი ელექტრონული რუკა.

განხორციელებული საქმიანობის

შედეგად შეიქმნა ხმის თანაბრობის პრინციპზე დაფუძნებული საარჩევნო ოლქები.

აღსანიშნავია, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ პირველად შეიქმნა ელექტრონული და ინტერაქტიული რუკები.



პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა
სწავლების ცენტრის მიერ 2016 წლის 15 მარტს და 4 აპრილს გამოცხადებული საგრანტო კონკურსების ფარგლებში დაფინანსებულმა ცხრა არასამთავრობო ორგანიზაციამ ქვეყნის მასშტაბით, 73 საარჩევნო ოლქში, განახორციელა სასწავლო პროგრამები პოლიტიკური პარტიებისთვის, რომლის მიზანი იყო პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის.

საგრანტო პროექტების განხორციელების პროცესში კონტრიბუციის სახით ცესკოს

სწავლების ცენტრმა უზრუნველყო პარტიების წარმომადგენლების სწავლება.

საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროგრამა გაიარა პროექტში მონაწილე 23

პოლიტიკური პარტიის (მათ შორის, 11 კვალიფიციური და 12 არაკვალიფიციური პარტიის) 1431 წარმომადგენელმა.

4 საარჩევნო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების ქცევის კოდექსი იხილეთ ბმულზე: <http://cesko.ge/res/docs/qceviskodeksi.pdf>.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესაძლებლობების გაზრდა

საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, სარეგისტრაციო და ადმინისტრაციულმა, საფინანსო, საინფორმაციო ტექნოლოგიების, იურიდიულმა და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტებმა, ადამიანური რესურსების მართვის და შიდა აუდიტის სამსახურებმა, ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერმა კომპეტენციის ფარგლებში, შეიმუშავეს პრაქტიკული თემატური ინსტრუქცია/სახელმძღვანელოები, რომლის შესაბამისად განხორციელდა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა გადამზადება.

საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელმა პირებმა, ასევე, ინტენსიური კურსი გაიარეს მედიასთან ურთიერთობის საკითხებში.

აღნიშნული ტრენინგების შედეგად გაუმჯობესდა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა ცოდნა და შესაძლებლობები სხვადასხვა მიმართულებით.

საიმიჯო/საინფორმაციო კამპანია

წარმატებით განხორციელებულმა საიმიჯო/საინფორმაციო კამპანიამ მნიშვნელოვნად გაზარდა ცესკოს როგორც ობიექტური და გამჭვირვალე ინსტიტუციის იმიჯი. განხორციელებული კამპანიის შედეგად ამაღლდა ამომრჩეველთა ინფორმირების დონე.



პარტნიორობა ევროპის საბჭოს საარჩევნო პროგრამის ფარგლებში

ევროპის საბჭო (CoE) ახორციელებს ახალ საარჩევნო პროგრამას საქართველოში, რომლის ფარგლებში ცესკომ პირველად მიიღო პირდაპირი წესით, მიზნობრივი გრანტი საერთაშორისო ორგანიზაციის მხრიდან, პროექტის „საარჩევნო განვითარების სკოლა“ განხორციელების მხარდასაჭერად.

ცესკოსა და სწავლების ცენტრის ვებგვერდები

2016 წელს, როგორც შინაარსობრივად, ისე ტექნიკურად და ვიზუალურად, განახლდა ცესკოსა და სწავლების ცენტრის ვებგვერდები. ცესკოს ვებგვერდი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისია, ის მაქსიმალურად გამარტივებული და მორგებულია სხვადასხვა პორტატულ ტექნოლოგიებზე. ეს საქართველოში პირველი ვებგვერდია, რომელიც სრულად არის ადაპტირებული უსინათლო მომხმარებლების საჭიროებებზე. სწავლების ცენტრის განახლებულ ვებგვერდზე, სხვა სიახლეებთან ერთად, განთავსებულია საგრანტო პროექტების საორიენტაციო რუკა, სტატისტიკურ მონაცემთა კატალოგები, ახალი ფორმატის ელექტრონული ბიბლიოთეკა და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ვებგვერდი მორგებულია პორტატულ ტექნოლოგიებზე და ადაპტირებულია უსინათლო პირების ვებგვერდების საშუალებით ცესკო და სწავლების ცენტრი უზრუნველყოფს საზოგადოების ოპერატიულად ინფორმირებას საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით.



პროექტის „საარჩევნო განვითარების სკოლა“ ახალი ეტაპი

2015 წლიდან ცესკო ახორციელებს საგანმანათლებლო პროექტს „საარჩევნო განვითარების სკოლა“. 2016 წელს პროექტის კურსდამთავრებულებს შორის შეირჩა 20 წარჩინებული მონაწილე და საარჩევნო პერიოდში, მათ მიეცათ პრაქტიკული გამოცდილების მიღების შესაძლებლობა საოლქო საარჩევნო კომისიებში. პროექტის დასრულების შემდეგ, 130 მონაწილე კონკურსის წესით, საუბრო საარჩევნო კომისიების წევრებად აირჩიეს, ხოლო ცალკეული კურსდამთავრებული საოლქო საარჩევნო კომისიების დამსმარე პერსონალის ფუნქციას ასრულებდა. პროექტის კურსდამთავრებულთა ნაწილი დასაქმდა პოლიტიკური პარტიებისა და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების საარჩევნო პროექტებში. პროექტი „საარჩევნო განვითარების სკოლა“ ცესკოს მიერ იყო წარდგენილი საპარლამენტო სწავლებების საერთაშორისო ცენტრის (ICPS) მიერ ორგანიზებულ, საერთაშორისო საარჩევნო დაჭილდოებაზე ნომინაციაში „მოქალაქეების ჩართულობა“. პროექტი დასახელდა ფინალისტთა შორის და მიიღო განსაკუთრებული მიღწევების რანგის ჯილდო.



უსინათლო ამომრჩევლებისთვის საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმა უსინათლო ამომრჩევლების არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობისა და მათი ხმის უფლების უზრუნველყოფის მიზნით, საერთაშორისო „კარგი პრაქტიკის“ შესწავლისა და უსინათლო პირთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ცესკომ შეიმუშავა საარჩევნო ბიულეტენის სტანდარტი და დაამზადა საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმა, რომელიც უნიკალურია, ვინაიდან მისი გამოყენებით უსინათლო ამომრჩევლებს ყველა ტიპის არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის საშუალებას აძლევთ. ჩარჩო/ფორმა იქნა გამოყენებული საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების დროს, რითაც უსინათლო ამომრჩევლებს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის საშუალება მიეცათ.

გენდერული თანასწორობის პოლიტიკა

2016 წელს საარჩევნო აღმინისტრაციამ, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით, პირველად, შეიმუშავა და დაამტკიცა გენდერული თანასწორობის პოლიტიკა, რომლის მიხედვით ცესკო იღებს ვალდებულებას ხელი შეუწყოს ქალებისა და კაცების თანასწორ მონაწილეობას საარჩევნო პროცესებში.

საარჩევნო ინფორმაცია გენდერულ ჭრილში

ცესკომ შეაგროვა და გენდერულ ჭრილში დაამუშავა სტატისტიკური ინფორმაცია 2014-2016 წლებში გამართულ არჩევნებში არჩეული პირების, კანდიდატების, სიაში ამომრჩევლების, არჩევნებში მონაწილეების, საარჩევნო აღმინისტრაციისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ. გენდერული სტატისტიკა გამოქვეყნებულია ცესკოს ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.


ეროვნული განერაციის სტატისტიკა

2016



ცესკო
საარჩევნო განერაციის სტატისტიკა
მონაწილეობისათვის





პრიორიტეტი

ინსტიტუციური გადაცემა

მიზანი 1: ეფექტური მართვის უზრუნველყოფა

ეფექტური მართვის უზრუნველყოფად, 2016 წელს, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგად დაიხვენა დაგეგმვის, ანგარიშგების და მონიტორინგის პროცესი, შეიქმნა ბიზნეს პროცესების მართვის სისტემა, მოხდა სამუშაო გარემოსა და თანამშრომელთა კმაყოფილების შეფასება, შეიქმნა ცესკოს, სტრუქტურულ ერთეულებსა და საოლქო საარჩევნო კომისიებს შორის კომუნიკაციის სისტემა, გაუმჯობესდა ფინანსური აღრიცხვა.

მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა დაგეგმვის, ანგარიშგებისა და მონიტორინგის პროცესის დახვენა.

საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის დაგეგმვა, მონიტორინგი და ანგარიშგება

ცესკო საქმიანობის დაგეგმვას ახორციელებს სამოქმედო გეგმის შემუშავების, დამტკიცების, კორექტირებისა და შესრულების წესის⁵ შესაბამისად. 2016 წელს აღნიშნულ წესში ცვლილებები შევიდა და განისაზღვრა სამოქმედო გეგმისა და საორიენტაციო ბიუჯეტის წინასწარი განაცხადის წარდგენის პროცედურა და ვადები, შეიცვალა კვარტალური ანგარიშის სტრუქტურა. ცვლილებების შედეგად, შემუშავდა 2017 წლის სამოქმედო გეგმაში გასათვალისწინებელი საქმიანობების შესახებ წინასწარი ინფორმაცია/განაცხადი. ამ დოკუმენტის საფუძველზე დაიგეგმა საარჩევნო ადმინისტრაციის 2017 წლის ბიუჯეტი და შეიქმნა 2017 წლის სამოქმედო გეგმა.

საარჩევნო ადმინისტრაციის 2016 წლის სამოქმედო გეგმით⁶ განსაზღვრული იყო სტრატეგიული პრიორიტეტები, სტრატეგიული მიზნები, ამ მიზნების მისაღწევად დაგეგმილი საქმიანობები, ინდიკატორები, ვადები, მოსალოდნელი შედეგები და პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები.

სტრატეგიული მიზნების მიღწევის პროცესზე დაკვირვების მიზნით, სამუშაო ჯგუფის⁷ მიერ შემუშავდა საარჩევნო ადმინისტრაციის 2015-2019 წლების სტრატეგიული გეგმის მონიტორინგისა და შეფასების გეგმის პროექტი. განისაზღვრა ინდიკატორების დეფინიცია, ინფორმაციის მოძიების რესურსი/წყარო/სიხშირე, მონაცემების შეგროვების მეთოდი, საქმიანობის შესრულების აუცილებელი წინაპირობა, როგორც ინფორმაციის მოწოდებაზე, ისე მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული.

5 სამოქმედო გეგმის შემუშავების, დამტკიცების, კორექტირებისა და შესრულების წესი დამტკიცებულია ცესკოს 2016 წლის 7 მარტის №118/2016 განკარგულებით.

6 საარჩევნო ადმინისტრაციის 2016 წლის სამოქმედო გეგმა იხილეთ ბმულზე <http://cesko.ge/res/docs/2016040418385832290.pdf>

7 საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფი შექმნილია ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით, რომელსაც ხელმძღვანელობს ცესკოს თავმჯდომარის მრჩეველი ანა მიქელაძე.

ცესკოში გაუმჯობესდა ანგარიშგების პროცესი. სტრუქტურული ერთეულებისა და სწავლების ცენტრის მიერ რეგულარულად ხდებოდა ცესკოს თავმჯდომარისთვის განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშგების წარდგენა. 2016 წელს სტრუქტურული ერთეულებისა და სწავლების ცენტრის მიერ მომზადდა 26 ანგარიში (კვარტალური/წლიური), ხოლო კოორდინაციის დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტის მიერ – 3 კონსოლიდირებული და 2016 წელს გამართული არჩევნების შესახებ 4 ანგარიში. სპეციალურად შექმნილ პორტალზე⁸ გამოქვეყნდა 2016 წელს ჩატარებული არჩევნების ხარჯების შესახებ ანგარიში.

ცესკოში დაინერგა ახალი პრაქტიკა, რაც ცესკოს მიმართ ანგარიშვალდებულების გაზრდას ემსახურება. საანგარიშო პერიოდში გაიმართა სამუშაო შეხვედრები ცესკოს ხელმძღვანელებთან და წევრებთან, სადაც სტრუქტურული ერთეულებისა და სწავლების ცენტრის ხელმძღვანელებმა, წარუდგინეს საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის განხორციელებული საქმიანობის შუალედური და 2016 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიშები.

ცესკოს თავმჯდომარემ ჩართულ მხარეებსა და ამომრჩევლებს წარუდგინა საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ 2015 წელს განხორციელებული საქმიანობისა და საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების შუალედური ანგარიშები.

ცესკომ მოამზადა და ინფორმაციის სახით შესაბამის ინსტიტუციებს გაუგზავნა შემდეგი ანგარიშები:

საქართველოს პარლამენტს

თვითმმართველი თემის – გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 28 იანვრის რიგგარეშე არჩევნების ანგარიში.

ქალაქ თბილისის, გარდაბნის, კასპის, წყალტუბოს, ქალაქ ოზურგეთის, ხობისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების საკრებულოების 2016 წლის 22 მაისის შუალედური არჩევნების ანგარიში.

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების ანგარიში, რომელიც მოიცავდა თვითმმართველი ქალაქის – ახალციხის მერისა და თვითმმართველი თემების – ბოლნისის, ხარაგაულის, ჭიათურის, ზუგდიდისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტების გამგებლების 2016 წლის 8 ოქტომბრის რიგგარეშე არჩევნების, ქალაქ თბილისის, წალკის, ჭიათურის, აბაშისა და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტების საკრებულოების 2016 წლის 8 ოქტომბრის შუალედური არჩევნებისა და ლაგოდეხისა და სენაკის მუნიციპალიტეტების საკრებულოების 2016 წლის 30 ოქტომბრის შუალედური არჩევნების შესახებ ინფორმაციას.

8 ცესკომ 2015 წელს შექმნა სპეციალური პორტალი www.electioncosts.cec.gov.ge, სადაც გამოქვეყნებულია ინფორმაცია 2008 წლიდან დღემდე გამართული არჩევნების ხარჯების შესახებ.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2006 წლის 13 დეკემბრის შეზღუდული
შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის შესაბამისად, 2012-2015 წლებში
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ
ანგარიში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2006 წლის 13 დეკემბრის შეზღუდული
შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის 35-ე მუხლის შესაბამისად,
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ 2014-2015 წლებში განხორციელებული
საქმიანობის შესახებ ანგარიში.

ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლების)
შესაბამისად, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული საქმიანობების შესახებ
ანგარიში.

ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2016-2017 წლების)
შესაბამისად, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ 2016 წელს განხორციელებული საქმიანობების
შესახებ ანგარიში.

გაეროს აზისა და წყნარი ოკეანისთვის სოციალური და ეკონომიკური კომისიის (ES-CAP) – ინჩეონის სტრატეგიის შესაბამისად, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შეზღუდული
შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ განხორციელებული პროექტებისა და ქ. თბილისში
ადაპტირებული საარჩევნო უბნების შესახებ ანგარიში.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის (2015-2020
წლების) 2016 სამოქმედო გეგმის მიხედვით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ
ამომრჩეველთა მიმართ საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული საქმიანობის
ანგარიში.

სახალხო დამცველს

საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ 2012-2016 წლებში ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო
პროცესებში ჩართულობის უზრუნველსაყოფად განხორციელებული საქმიანობის შესახებ
ანგარიში.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

საარჩევნო ადმინისტრაციის 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიში. ასევე,
2016 წლის 6 თვის ბუღალტური აღრიცხვის შესახებ ინფორმაცია, ბიუჯეტის შესრულების 2015
წლის და 2016 წლის პერიოდული ანგარიშები.

შემოსავლების სამსახურის პორტალზე განთავსების მიზნით ყოველთვიურად
ხორციელდებოდა მონაცემთა და საშემოსავლო გადასახადის შესახებ ინფორმაციის დამუშავება
და გაგზავნა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს

2015 წელს საარჩევნო ადმინისტრაციაში დასაქმებული თანამშრომლების რაოდენობის და
მათზე გაცემული შრომის ანაზღაურების ოდენობის შესახებ ინფორმაცია.

შიდა აუდიტის სამსახურის სტრატეგიული გეგმის შემუშავება, რისკების ანალიზი,
პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა

მენეჯმენტის გაუმჯობესებისა და საბიუსეტო სახსრების უფრო პროდუქტიულად,
ეკონომიკურად და ეფექტურად მართვის პროცესის სრულყოფის მიზნით შიდა აუდიტის
სამსახურის მიერ შემუშავდა და ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცდა შიდა აუდიტის
სამსახურის 2016-2018 წლების სტრატეგიული გეგმა.

სტრატეგიული პრიორიტეტებისა და რისკების ანალიზის საფუძველზე შემუშავდა და
დამტკიცდა შიდა აუდიტის სამსახურის 2016 წლის სამოქმედო გეგმა. გეგმით განისაზღვრა
აუდიტის ჩასატარებელი ობიექტები – ცესკოს სტრუქტურული ერთეულები და საოლქო
საარჩევნო კომისიები, სადაც დაიგეგმა შიდა აუდიტის განხორციელება.

2016 წელს შიდა აუდიტორული შემოწმება ჩაუტარდა საფინანსო დეპარტამენტისა და
ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის საქმიანობას. შიდა აუდიტორული შემოწმების
შედეგად გამოვლენილი საჭიროებებიდან გამომდინარე შეგროვდა დოკუმენტაცია,
რომლის შესწავლისა და ანალიზის შემდეგ იგეგმება რეკომენდაციების წარდგენა ცესკოს
ხელმძღვანელობისთვის.

საარჩევნო აღმინისტრაციის ორგანიზაციული სტრუქტურა

2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
საშტატო განრიგისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ“ ცესკოს 2015 წლის 25
ნოემბრის №175/2015 განკარგულებაში შევიდა 3 ტექნიკური ცვლილება:

- ცესკოს აპარატის საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის საარჩევნო
კომისიებთან ურთიერთობისა და ინფორმაციის მართვის განყოფილებას დაემატა
სპეციალისტის (III კატეგორია) საშტატო ერთეული;
- ცესკოს აპარატის შიდა აუდიტის სამსახურში გაუქმდა სპეციალისტის (III კატეგორია)
საშტატო ერთეული;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში განყოფილებებს შეეცვალა
სახელწოდებები და ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: საზოგადოებასთან ურთიერთობის
განყოფილება და საერთაშორისო ურთიერთობების და პროტოკოლის განყოფილება.

ცესკოს აპარატში ბიზნეს პროცესების მართვის სისტემის დანერგვა

ცესკოს აპარატში დაიწყო ბიზნეს პროცესების მართვის სისტემის დანერგვა. ცესკოს
თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცდა ბიზნეს პროცესების ანალიზის კითხვარი, ჩატარდა
საინფორმაციო შეხვედრები ცესკოს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან,
დამუშავდა შევსებული კითხვარები. განხორციელდა ბიზნეს პროცესების ანალიზი,
იდენტიფიცირება და ვიზუალიზაცია. მომავალ წელს დაგეგმილია საინფორმაციო
ტექნოლოგიების დეპარტამენტის მიერ სპეციალური პორტალის შექმნა, სადაც განთავსდება
დამუშავებული ინფორმაცია.

საარჩევნო აღმინისტრაციის შესარჩევი კონკურსების აღმინისტრირება

ადამიანური რესურსების შერჩევის მიზნით ჩატარდა ცესკოს აპარატის მოხელეთა
და სტაჟიორთა, ასევე საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა შესარჩევი კონკურსები.

ინფორმაცია შესარჩევი კონკურსების შედეგების შესახებ იხილეთ ცხრილში (1).

შეჩიტი 1

შესარჩევი კონკურსები

კონკურსის დასახელება	ვაკანსიების რაოდენობა	კონკურსანტთა რაოდენობა	შერჩეულთა რაოდენობა
ცესკოს აპარატი	17	1508	17
		ქალი – 1014 კაცი – 494	ქალი – 11 (64.71%) კაცი – 6 (35.29%)
სტაჟირება ცესკოს აპარატის 9 სტრუქტურულ ერთეულში	32	608	14
		ქალი – 459 კაცი – 149	ქალი – 8 (57.14%) კაცი – 6 (42.56%) 18 პოზიცია დარჩა ვაკანტური
საოლქო საარჩევნო კომისიები მუდმივმოქმედი წევრები	256	1 244	234
		ქალი – 757 კაცი – 487	ქალი – 142 (60.68%) კაცი – 92 (39.32%) 17 კონკურსი ჩაშლილად გამოცხადდა და 5 ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსი დასრულდება მომავალ წელს
დროებითი წევრები	84	282	83
		ქალი – 185 კაცი – 97	ქალი – 51 (61.45%) კაცი – 32 (38.55%) 1 კონკურსი ჩაშლილად გამოცხადდა

თანამშრომელთა ჭანმრთელობის დაზღვევა

ცესკომ უზრუნველყო საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა და მათი ოჯახის წევრების ჭანმრთელობის კორპორატიული დაზღვევა. თანამშრომელთა უმრავლესობის სურვილითა და თანხმობით შეირჩა სადაზღვევო კომპანია „ირაო“.

2016 წლის დასაწყისში საარჩევნო ადმინისტრაციიდან სადაზღვევო კომპანიაში „ირაო“ დაზღვეულთა რაოდენობამ შეადგინა – 858 ადამიანი, აქედან თანამშრომელი – 553 და თანამშრომელთა ოჯახის წევრი – 305. სხვადასხვა მიზეზის გამო დაზღვევა გაუუქმდა 122 თანამშრომელს და 34 ოჯახის წევრს. შესაბამისად, წლის ბოლოს დაზღვეულთა რაოდენობამ შეადგინა 702 ადამიანი.

თანამშრომელთა კმაყოფილებისა და მოტივაციის ანონიმური კვლევა

ცესკოს აპარატში ჩატარდა თანამშრომელთა კმაყოფილებისა და მოტივაციის ანონიმური კვლევა. ცესკოს აპარატის 140 თანამშრომლიდან ანონიმურ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 27-მა, რომლებმაც გასცეს პასუხი სამუშაო კმაყოფილების განმსაზღვრელ 12 კითხვაზე. ყველა კითხვა ფასდებოდა 1-დან 5-მდე შეკალის მიხედვით.

თანამშრომლებმა შეაფასეს საერთო სამუშაო კმაყოფილება. კვლევის შედეგად განისაზღვრა საშუალო კმაყოფილების დონე და გამოიკვეთა, რომ თანამშრომლები

კმაყოფილები არიან იმ სამუშაოთი რასაც ასრულებენ, კოლეგებით, ხელმძღვანელებითა და არსებული სამუშაო გარემოთი.

თანამშრომელთა საერთო მოტივაციის დონის კვლევის ფარგლებში, თანამშრომლებმა დაასახელეს მაქსიმუმ 5 სამუშაო მოტივატორი და შეაფასეს სამუშაო მოტივაციის დონე შვალის მიხედვით. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ თანამშრომელთა უმრავლესობა მოტივირებულია საკუთარი სამუშაოს შესრულების დროს.

სამუშაო მოტივაციის დონის კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი სამუშაო მოტივატორები: მატერიალური წახალისება, კარიერული წინსვლა, სამუშაო გარემო, შესრულებული სამუშაო/შედეგი/წარმატებული პროექტები, პასუხისმგებლობის გრძნობა, კოლეგებთან ურთიერთობა, არამატერიალური წახალისება, უკუგება და აღიარება.

საოლქო საარჩევნო კომისიებში ფინანსების მართვის, ბუღალტრული აღრიცხვის,

სახელმწიფო შესყიდვების, საინვენტარიზაციო პროცესის გაუმჯობესება

საოლქო საარჩევნო კომისიებში ეფექტიანი საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად საფინანსო დეპარტამენტის მიერ შემუშავდა სახელმძღვანელო-ინსტრუქცია „საოლქო საარჩევნო კომისიების ფინანსური მენეჯმენტი“. ინსტრუქციის გაცნობის მიზნით საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირებს ჩატერიფირდათ ტრენინგი. საარჩევნო პერიოდში, საფინანსო დეპარტამენტი კონსულტაციებს უწევდა საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელებს ფინანსურ საკითხებზე, არჩევნების ჩასატარებლად საჭირო ღონისძიებების მატერიალურად ეფექტიანად დასაფინანსებლად. შემუშავებული ინსტრუქცია დაეხმარა კომისიების ხელმძღვანელ პირებს ფინანსების მართვის სისტემის მოწესრიგებაში, სახელმწიფო შესყიდვებისა და საინვენტარიზაციო პროცესის გაუმჯობესებაში.

საარჩევნო ადმინისტრაციის საქმისნარმოების წესის განახლება და სამუშაო

შეხვედრების ჩატარება საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებთან

საარჩევნო ადმინისტრაციის საქმისნარმოების პროცესის სრულყოფის მიზნით განახლდა და საარჩევნო კანონმდებლობასა და სხვადასხვა ნორმატიულ/სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობაში მოყვანილ იქნა ცესკოს პპარატისა და საოლქო საარჩევნო კომისიების საქმისნარმოების წესი, რომელიც დამტკიცდა ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით. წესში ასახულია საარჩევნო ადმინისტრაციაში საქმისნარმოების პროცესის რეგულირების დამატებითი მოთხოვნები.

საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის საქმისნარმოებისა და საარჩევნო რეგისტრაციების პროცესის სრულყოფის მიზნით სარეგისტრაციო და ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა დამტკიცებული წესის მიხედვით, მოამზადა⁹ საპრეზენტაციო მასალა, სახელმძღვანელო დოკუმენტები (ინსტრუქციები) და გამართა სამუშაო შეხვედრები საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებთან. შეხვედრების დროს განხორციელდა საქმისნარმოებისა და საარჩევნო რეგისტრაციების პროცედურების სავანონმდებლო ნორმების/მოთხოვნების გაცნობა და შესაბამისი გამოცდილების გაზიარება, საქმიანი პროცესების სტანდარტიზაცია საოლქო საარჩევნო კომისიების საქმიანობასთან დაკავშირებული პოტენციური რისკების შემცირებისა და საოლქო საარჩევნო კომისიების მუდმივმოქმედი წევრების პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება.

9 საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის საქმისნარმოებისა და საარჩევნო რეგისტრაციების პროცესის სახელმძღვანელო დოკუმენტები (ინსტრუქციები) შემუშავდა საქართველოს ორგანული ვანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, „საქმისნარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, აგრეთვე ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცებული „საოლქო საარჩევნო კომისიების საქმისნარმოების წესში“ საფუძველზე.

**დოკუმენტაციის ელექტრონულ ფორმატში შენახვის/განადგურების
ერთიანი ნორმების შემუშავება**

საარჩევნო ადმინისტრაციის სპეციფიკისა და არსებული „კარგი პრაქტიკის“ გათვალისწინებით, ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა შეიმუშავა დოკუმენტაციის ელექტრონულ ფორმატში შენახვის/განადგურების რეგულაცია და ასახა საარჩევნო ადმინისტრაციის ნომენკლატურაში. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის საქმეთა ნომენკლატურის პროექტი, საექსპერტო კომისიის სხდომაზე განხილვისა და საქართველოს ეროვნულ არქივთან შეთანხმების შემდეგ, დამტკიცებულ იქნა ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით.

**დოკუმენტების ორიგინალების ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა,
ელექტრონული არქივის პროგრამაში ინტეგრაცია**

ინსტიტუციური მეხსიერების სრულყოფისა და საარჩევნო ადმინისტრაციის ნომენკლატურით განსაზღვრული ნორმების შესაბამისად, სკანირებული და ელექტრონული არქივის პროგრამაში შეყვანილ იქნა ცესკოს არქივში დაცული მუდმივშესანახი დოკუმენტები.

2016 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იყო 3 000 დოკუმენტის ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა, ხოლო სარეგისტრაციო და ადმინისტრაციული დეპარტამენტის მიერ განხორციელებული სამუშაოს შედეგად პროგრამაში ინტეგრირებულია 11 859 დოკუმენტი. ამჟამად, ცესკოს ელექტრონული არქივის პროგრამაში შესაძლებელია 7 დასახელების 39 234 დოკუმენტის მოძიება.

ინფორმაცია ელექტრონული არქივის პროგრამაში არსებული დოკუმენტების შესახებ იხილეთ ცხრილში (2).

შეჩილები 2.

ელექტრონული არქივის პროგრამაში არსებული დოკუმენტები

№	დოკუმენტების დასახელება	დოკუმენტის შედგენის წლები	დოკუმენტების რაოდენობა
1	ცესკოს დადგენილება	1995-2014	1 109
2	ცესკოს განკარგულება	2000-2014	3 921
3	ცესკოს თავმჯდომარის განკარგულება	2001-2014	1 366
4	ცესკოს თავმჯდომარის ბრძანება	2001-2014	5 844
5	ცესკოს მდივნის განკარგულება	2006-2014	2 625
6	ცესკოს სხდომის ოქმი	1999-2014	981
7	არჩევნების შემაჯამებელი ოქმები	2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები	3 733
		2012 წლის საპარლამენტო არჩევნები	7 774
		2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები	6 821
		2010 წლის ქ. თბილისის მერის არჩევნები	829
		2008 წლის საპარლამენტო არჩევნები	1 947
		2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები	2 284

სულ 39 234

არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების ინფორმაციული ელექტრონული რეგისტრის შექმნა

საარჩევნო რეგისტრაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად შეიქმნა და ცესკოს ვებგვერდზე განთავსდა არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების ინფორმაციული ელექტრონული რეგისტრი. დამუშავდა ცესკოს არქივში დაცული პოლიტიკური პარტიების მიერ რეგისტრაციისთვის წარმოდგენილი შემდეგი დოკუმენტაცია: პარტიების განცხადებები, მოწმობები, წესდებები, შესაბამისი დასკვნები და აქტები, პარტიული სიები და კანდიდატთა სააღრიცხვო ბარათები, ცესკოს თავმჯდომარის განვარგულებები პარტიების რეგისტრაციის/რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.

საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის მიერ შეიქმნა სპეციალური ვებგვერდი (partylists.cec.gov.ge), სადაც განთავსდა საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების პარტიული სიები და წესდებები. ასევე, 2016 წელს დამუშავდა შემდეგი დოკუმენტაცია:

- 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის რეგისტრირებული 4 საარჩევნო ბლოკში შემავალი 12 პოლიტიკური პარტიისა და დამოუკიდებლად რეგისტრირებული 20 პოლიტიკური პარტიის სარეგისტრაციო დოკუმენტაცია და იმ 8 პოლიტიკური პარტიის დოკუმენტაცია რომელთაც უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე/გაუუქმდათ რეგისტრაცია.
- 2014 წლის არჩევნებისთვის ქ. თბილისის მერობის რეგისტრირებული კანდიდატების სარეგისტრაციო დოკუმენტაცია.

დოკუმენტაციის სრულყოფის შემდეგ ინფორმაცია განთავსდება ვებგვერდზე და ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისთვის. აღსანიშნავია, რომ ვებგვერდზე შესაძლებელი იქნება მონაცემების ფილტრაცია სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით.

ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება

საარჩევნო ადმინისტრაციის ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარების უზრუნველსაყოფად, ცესკოში შექმნილია ინფორმაციული უსაფრთხოების საბჭო, რომლმაც შეიმუშავა და ცესკოს წარუდგინა „საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა“. დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის შექმნის ძირითად პრიორიტეტებს და მისი მიზანია საარჩევნო ადმინისტრაციის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, მთლიანობისა და კონფიდენციალურობის სათანადო ხარისხის უზრუნველყოფა, ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის გავრცელების სფეროში ისეთი პროცესების ჩამოყალიბება, რაც ერთის მხრივ გამოავლენს ინფორმაციული უსაფრთხოების კუთხით არსებულ ხარვეზებს, ხოლო მეორეს მხრივ, გააუმჯობესებს ინფორმაციული აქტივების დამუშავებისათვის განკუთვნილი პროცესების დაგეგმვარების, შესრულებისა და შემოწმების პროცესს.

აღნიშნული პოლიტიკის გატარება და უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვა ხელს შეუწყობს საარჩევნო ადმინისტრაციაში ინფორმაციული უსაფრთხოების კონტროლის მექანიზმების შემუშავებას, პოლიტიკის გავრცელების სფეროში არსებული პროცესების უწყვეტობასა და ინფორმაციის სათანადო დაცვას.

მიზანი 2: აღმინისტრი ჩასრულების განვითარებისთვის

საარჩევნო ადმინისტრაცია ადამიანური რესურსების განვითარებისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევს საკუთარი ხედვის, პოლიტიკისა და ინსტიტუციური ცოდნისა და გამოცდილების გადაცემის სისტემის არსებობას.

2016 წლის განმავლობაში განისაზღვრა ტრენინგების პოლიტიკა და გეგმა, შეიქმნა თანამშრომელთა გადამზადების სისტემა, მოხდა საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და განხორციელდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირება.

მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენინგების პოლიტიკის შექმნა.

საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენინგების პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა პროფესიული განვითარების უწყვეტი პროცესის უზრუნველსაყოფად ცესკომ დაამტკიცა ტრენინგების პოლიტიკის დოკუმენტი¹⁰. დოკუმენტი შემუშავებულია პოლონეთის საჭარო სამსახურის ტრენინგების პოლიტიკის მოდელის მიხედვით და განსაზღვრავს ადმინისტრაციის მოხელეთა პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელების მიზნებს, პრინციპებს და აწესრიგებს ამ სფეროში საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილ საქმიანობას. ტრენინგების პოლიტიკის დოკუმენტში განსაზღვრულია შემდეგი საკითხები:

- ტრენინგების პოლიტიკის მიზნები და პრინციპები;
- ტრენინგების საჭიროების იდენტიფიცირება, კვლევა და ანალიზი;
- თანამშრომელთა განვითარების/ტრენინგების გეგმის შემუშავება;
- მოხელეთა განვითარების/ტრენინგების ბიუჯეტის შედგენა;
- ტრენინგების განხორციელება;
- შიდა ტრენინგი, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და ტრენერები/მენტორები;
- დისტანციური სწავლება (E-LEARNING);
- ტრენინგების დაფინანსება;
- ტრენინგების მიმდინარეობის და ეფექტურობის შეფასება.

ტრენინგების პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური შეიმუშავებს საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა 2017 წლის ტრენინგების გეგმას.

10 საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენინგის პოლიტიკის დოკუმენტი დამტკიცდა ცესკოს 2016 წლის 26 დეკემბრის №558/2016 განკარგულებით.

თანამშრომელთა გადამზადების სისტემის შექმნა

ცესკოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების უზრუნველსაყოფად თანამშრომლების ტრენინგ საჭიროებათა ანალიზის საფუძველზე, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურმა შეიმუშავა 2016 წლის ტრენინგების გეგმა. გეგმის შესაბამისად, საარჩევნო ადმინისტრაციისა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებს ჩაუტარდათ 15 ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1408 თანამშრომელმა.



ინფორმაცია თანამშრომელთა გადამზადების პროგრამის შესახებ იხილეთ ცხრილში (3).

შეჩიტი 3

ინფორმაცია თანამშრომელთა გადამზადების პროგრამის შესახებ

№	ტრენინგის დასახელება	განმახორციელებელი ორგანიზაცია	მონაწილე სტრუქტურული ერთეული	მონაწილეთა რაოდენობა
1	ბიზნეს ეტიკეტი და პროტოკოლი	ცესკო თბილისის ეტიკეტის სკოლა	ცესკოს სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლები	66 ქალი – 34 ვაცი – 32
2	პერსონალურ მონაცემთა დაცვა	ცესკო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი	ცესკოს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები	76 ქალი – 54 ვაცი – 22
3	დოკუმენტბრუნვის სისტემის (eDocument) მოხმარება	ცესკო სისპ საფინანსო- ანალიტიკური სამსახური	ცესკოს სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლები	67 ქალი – 43 ვაცი – 24
4	სისტემური აუდიტი	ცესკო ფინანსთა სამინისტროს აკადემია სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტი	შიდა აუდიტის სამსახური	1 ვაცი – 1
5	სახელმწიფო შესყიდვების სასწავლო კურსი	ცესკო სისპ-სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი იურიდიული დეპარტამენტი საფინანსო დეპარტამენტი შიდა აუდიტის სამსახური სწავლების ცენტრი	21 ქალი – 9 ვაცი – 12
6	მართვა და ეფექტური კომუნიკაცია	ცესკო პარტნიორები საქართველო	საოლქო საარჩევნო კომისიები საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატი ადამიანური რესურსების მართვის სამსახური	155 ქალი – 79 ვაცი – 76
7	საქმიანი პროცესების სტანდარტიზაცია ერთგვაროვანი სამუშაო პრაქტიკის დანერგვა შიდა კომუნიკაციის გეგმის შემუშავება საქმისწარმოების პროცესის გაუმჯობესება	ადამიანური რესურსების მართვის სამსახური შიდა აუდიტის სამსახური საფინანსო დეპარტამენტი საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი სარეგისტრაციო და აღმინისტრაციული დეპარტამენტი იურიდიული დეპარტამენტი საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი	საოლქო საარჩევნო კომისიების საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატი ადამიანური რესურსების მართვის სამსახური	351 ქალი – 199 ვაცი – 152

8	მედიასთან ურთიერთობა, ინტერვიუს ტექნიკა	საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი	საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეები	27 ქალი – 12 გაცი – 15
9	საარჩევნო პროცესების მართვა (BRIDGE)	სწავლების ცენტრი	საოლქო საარჩევნო კომისიების წევრები ცესკოს პარატის თანამშრომლები	371 ქალი – 210 გაცი – 161
10	არჩევნების მართვა	ცესკო დემოკრატიისა და არჩევნების მართვის ინდოეთის საერთაშორისო ინსტიტუტი (IIIDEM)	ცესკოს ხელმძღვანელი პირები, წევრები სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები თანამშრომლები ცესკოს თავმჯდომარის მრჩეველი ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი ჩუღურეთისა და ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები სწავლების ცენტრის თანამშრომლები	27 ქალი – 18 გაცი – 9
11	სახელმწიფო ენა და ეფექტური კომუნიკაცია	ცესკო სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემია	სარეგისტრაციო და ადმინისტრაციული დეპარტამენტი იურიდიული დეპარტამენტი ადამიანური რესურსების მართვის სამსახური	10 ქალი – 9 გაცი – 1
12	საარქივო საქმე და საქმისწარმოება	ცესკო სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემია	სარეგისტრაციო და ადმინისტრაციული დეპარტამენტი სწავლების ცენტრი	11 ქალი – 11
13	რისკის ორიენტაცია და რისკის შეფასება	ფინანსთა სამინისტრო გერმანული საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაცია GIZ პარმონიზაციის ცენტრი	შიდა აუდიტის სამსახური	1 ქალი – 1
14	სამართლებრივი წერა	იურიდიული დეპარტამენტი	საოლქო საარჩევნო კომისიების მდივნებისა და ცესკოს პარატის ზოგიერთი თანამშრომელი	80 ქალი – 28 გაცი – 52
15	არჩევნების მიმოხილვა და პროცედურების ზოგადი სასწავლო კურსი	სწავლების ცენტრი	საოლქო საარჩევნო კომისიების ახალი წევრები	144 ქალი – 103 გაცი – 41

საორიენტაციო პროგრამა ახალი თანამშრომლებისა და სტაჟიორებისთვის
 საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის, ადმინისტრაციული საკითხების,
 შიდაორგანიზაციულ კულტურასთან ინტეგრაციისა და ორგანიზაციის საქმიანობის
 სტანდარტის გაცნობის მიზნით, ცესკოში 2015 წლიდან დაიწყერგა ახალი თანამშრომლებისა
 და სტაჟიორებისთვის საორიენტაციო პროგრამა. პროგრამა ითვალისწინებს საარჩევნო
 ადმინისტრაციის შიდა პროცედურების, სტრუქტურის, ეთიკის კოდექსისა და შინაგანაწესის
 გაცნობას. აღნიშნული პროგრამის დანერგვამ ხელი შეუწყო ახალი თანამშრომლებისა და
 სტაჟიორების სამუშაო პროცესში მარტივად ჩართვას და ინტეგრირებას.

2016 წელს ჩატარდა 14 საორიენტაციო პროგრამა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 292-მა
 ახალმა თანამშრომელმა და სტაჟიორმა, მათ შორის, ქალი 189 (65%) და კაცი 103 (35%).

საერთაშორისო კონფერენციებში და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა

სხვა ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციებთან თანამშრომლობის, საკონსულტაციო
 მომსახურების განვითარებისა და საარჩევნო პროცესის მართვის გამოცდილების გაზიარების
 მიზნით ცესკოს წევრებმა, აპარატის თანამშრომლებმა, საოლქო საარჩევნო კომისიის
 წევრებმა და სწავლების ცენტრის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღოს 22 საერთაშორისო
 კონფერენციასა და სამუშაო შეხვედრაში.


ინფორმაცია საერთაშორისო კონფერენციებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობის შესახებ
 შესახებ იხილეთ ცხრილში (4).

შეჩერები 4

ინფორმაცია საერთაშორისო კონფერენციებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობის შესახებ

თარიღი	თემატიკა	ორგანიზატორი ორგანიზაცია/ქვეყანა
15-17 მარტი	გამოფენა „პირველი ქალი პოლიტიკოსები საქართველოს დემოკრატიულ ისტორიაში: 1919-1921“	გაერო/ამერიკის შეერთებული შტატები
18 მარტი	კონფერენცია „შეზღუდული შესაძლებლობების პირთა უფლებები და არჩევნები“	საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES)/უკრაინა
5 აპრილი	კონფერენცია „მედია და არჩევნები უკრაინაში, ძირითადი გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები“	ევროსაბჭო, ვენეციის კომისია, უკრაინის საარჩევნო ადმინისტრაცია, უკრაინის პარლამენტი, რადიო და ტელემაუწყებლობის ნაციონალური საბჭო/უკრაინა
12-15 აპრილი	საარჩევნო ადმინისტრაციების მე-13 ევროპული კონფერენცია „ახალი ტექნოლოგიები არჩევნებში: საზოგადოებრივი წდობა და გამოწვევები“	რუმინეთის საარჩევნო ადმინისტრაცია, ევროსაბჭოს ვენეციის კომისია/ რუმინეთი
19-21 აპრილი	სამუშაო შეხვედრა „საარჩევნო ადმინისტრაციების როლი არჩევნებში ქალთა მონაწილეობის გასაძლიერებლად“	არაბეთის საარჩევნო ადმინისტრაციების ორგანიზაცია და გაეროს განვითარების პროგრამის რეგიონული წარმომადგენლობა/ გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის ფარგლებში/იორდანია
20 აპრილი	ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე საქართველო-ევროკავშირის ყოველწლიური დიალოგის მეცხრე შეხვედრა	ევროკავშირი/ბელგია

7-8 ივნისი	ასოციაციის „ქალები საარჩევნო მენეჯმენტში“ საერთაშორისო სამუშაო ჰუფის შეხვედრა (Women in Electoral Management – International (WEM-International))	გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), მოლდოვის საარჩევნო აღმინისტრაცია/მოლდოვა
31 მაისი-4 ივნისი	სამუშაო შეხვედრა „ადგილობრივი დემოკრატია გენდერულ ჭრილში“	შვედეთის საერთაშორისო ორგანიზაცია „საერთაშორისო ცენტრი ადგილობრივი დემოკრატიისთვის“ (ICLD)/მაკედონია
12-18 ივნისი	მე-12 საერთაშორისო საარჩევნო სიმპოზიუმი	საპარლამენტო სწავლებების საერთაშორისო ცენტრი (ICPS) და ნამიბიის საარჩევნო კომისია/ნამიბიის რესპუბლიკა
15-17 ივნისი	სამუშაო შეხვედრა „ამომრჩეველი და სამოქალაქო განათლება“	საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES), ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ევროკავშირი/ჩეხეთი
16 ივნისი	საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის სხდომა	ევროკავშირი/ბელგია
4 ივლისი	საერთაშორისო საპარლამენტო კონფერენცია „მედიის თავისუფლება, როგორც დემოკრატიული არჩევნების ქვეყნებიდან“	ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა/ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი პროგრამული თანამშრომლობის ფარგლებში (PCF)/გერმანია
1-4 აგვისტო	ოთხდღიანი სწავლება, საზაფხულო საარჩევნო სკოლა	რუმინეთის მუდმივი საარჩევნო კომისია და გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)/რუმინეთი
21-23 სექტემბერი	ევროპის საარჩევნო მოხელეთა ასოციაციის 25-ე ყოველწლიური კონფერენცია	ევროპის საარჩევნო მოხელეთა ასოციაცია (ACEEEO)/ალბანეთი
19-21 ოქტომბერი	საერთაშორისო კონფერენცია „ამომრჩეველთა განათლება არჩევნებში ინკლუზიური და ინფორმირებული მონაწილეობისთვის“	ინდოეთის საარჩევნო აღმინისტრაცია/ინდოეთი
24-25 ოქტომბერი	საერთაშორისო კონფერენცია „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში საარჩევნო სადამკვირვებლო მისიების რეკომენდაციების შედეგები“	ევროპის საბჭო/„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნებისთვის, ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს პროგრამული თანამშრომლობის ფორმატი (PCF – EaP)/იტალია
5 ნოემბერი	ევროპის საბჭოს ექსპერტების პლენარული სხდომა	ევროპის საბჭო/საფრანგეთი
5 ნოემბერი	სემინარში „არჩევნების დაკვირვება და შემდგომი რეკომენდაციები“	ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების აფისი (OSCE/ODIHR)/ავსტრია
15 ნოემბერი	სამუშაო შეხვედრა „ევროსაბჭო და რეფორმები საქართველოში“	ევროპის საბჭო/საფრანგეთი
1 დეკემბერი	კონფერენცია – „ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში-რეგიონული სწავლება და ინფორმაციის გაცვლა“	ევროპის საბჭო/უკრაინა
2 დეკემბერი	საარჩევნო რისკების მენეჯმენტის საერთაშორისო სპეციალიზებული კურსი	მექსიკის ეროვნული საარჩევნო ინსტიტუტი (INE)/მექსიკა
5-8 დეკემბერი	საარჩევნო საკითხთა მე-13 საერთაშორისო სიმპოზიუმი	საპარლამენტო სწავლებების საერთაშორისო ცენტრი (ICPS)/მოზამბიკი



ՍաԺԱՄԿՎՈՐՎԵՅԼՈՅ ՄԻՍԻԵՅՑԻ ՄՈՆԱՆԻԼՅԵՂՅԱ

Սաարհեցնո ագմինուսիրապուսա դա ՏԵՇԱՎԼԵՅՑԻ ԿԵՆՔՐՈՍ տաճամ՛ՌՈՄԼԵՅՑԻ ՍԱԵՐՏԱՌՈՐՈՍՈ
ԾԱԺԱՄԿՎՈՐՎԵՅԼՈՅՍ ՏԲԱԺՄԱ ՏԱԱԿՎՈՐՎՆԵՆ ՏԵՎԳԱՋԱՏԵՎԱ ԺՎԵԿԱՆԱՑԻ ԻԱԺԱՐԵՅՑՅՈՒՆ ԱՐՀԵՑՎՆԵՑ:

- յածախետու Տառլամենքու Րոցարեյց ԱՐՀԵՑՎՆԵՑ;
- Տամերյոտ ԿՈՐՐԵՈՍ ԵՐՈՎԵՆՆՈՂՈ ԱՏԱՄԵԼՅՈՍ ՄԵՌՈՎԵ ԱՐՀԵՑՎՆԵՑ;
- ԾՈԽՆՈՎՈԿՈՍ ՌԵՍՊՆՅՈՂՈԿՈՍ ՏԱՊՈՎԵԼԼՈՎԱՆ ԱՐՀԵՑՎՆԵՑ;
- ԾԵԼԱՐՄԱՍՈՍ ՌԵՍՊՆՅՈՂՈԿՈՍ ՏԱՎԵՐԼԱՄԵՆՔՕ ԱՐՀԵՑՎՆԵՑ;
- ԵՄՌՎԱԺՈՈՍ ՏԱՎԵՐԼԱՄԵՆՔՕ ԱՐՀԵՑՎՆԵՑ;
- ԱՑԵՐՈՋԱԿԱՆՈՍ ՌԵՍՊՆՅՈՂՈԿՈՍ ՌԵԳՎԵՐԵՆԾՅՈՄԻ;
- ԾՐԱՑՈՂՈՈՍ ԳԵՋՎԵՐԱՑՈՒՂՈ ՌԵՍՊՆՅՈՂՈԿՈՍ ՏՎՈՒԹՄԱՐԹՎԵԼՈՎԱՆ ԱՐՀԵՑՎՆԵՑ;
- ԾՈԽՆՈՎ-ՎԵՐՖԵՎՈՎՈՆԱՏ ԱԳՎՈՂՈՎՐԴՐՈՎՈ ՏՎՈՒԹՄԱՐԹՎԵԼՈՎԱՆ ԱՐՀԵՑՎՆԵՑ;
- ՀՈՎՈՎՈՍ ՍԵՐՈՎՈՍ ԱՐՀԵՑՎՆԵՑ;
- ՄՈԼՎԵՐՎՈՍ ՌԵՍՊՆՅՈՂՈԿՈՍ ՏԱՎԵՐԼԱՄԵՆՔՕ ԱՐՀԵՑՎՆԵՑ;
- ԱՄԵՐՈԿՈՍ ՇԵՐՏԵՅԸՆՈՂՈ ՇԲԱԺԵՅՈՍ ՏԱՎԵՐԼԱՄԵՆՔՕ ԱՐՀԵՑՎՆԵՑ;
- ԿՈՐՎՈՂԵՏՈՍ ՏՎՈՒԹՄԱՐԹՎԵԼՈՎԱՆ ԱՐՀԵՑՎՆԵՑ դա ՌԵԳՎԵՐԵՆԾՅՈՄՈ.

ԿՈՎԵԼՈ ՎՈՒԹՈՒ ՇԵՄԳԵՂ, ՏԱԺԱՄԿՎՈՐՎԵՅԼՈՅ ՄԻՍԻԵՅՑԻ ՄՈՆԱՆԻԼՅԵՅՑՄԱ ԵԱՐԱԺՈՂԵՆԵՍ ԱՆԳԱՐՈՒՄՈ,
ՏԱԺԱՑ ԱՂՅԵՐՈՒՈՂՈԱ ՄՈՂԵՅՑՅՈՂՈ ԳԱՄՈՎԳՈՂԵՐՅԱ, ԾԱՄՎԱՐԵՅՑՅՈՂՈ ՏԱՅՄՈՒՆՈ ՎՈՆՔԱԺԵՅՑՅՈ ԾԱԺԱՄԿՎՈՐՎԵՅԼՈՅ.

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირება

საქართველოს მოქალაქეების საარჩევნო კანონმდებლობის ცოდნის, ზოგადი უნარების დადგენისა და შემდგომში მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსის შერჩევის მიზნით სწავლების ცენტრმა 2016 წელს უზრუნველყო საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა 3 სასერტიფიკაციო გამოცდის¹¹ ჩატარება: 20 იანვრიდან – 17 მარტამდე, 29 მარტიდან – 4 მაისამდე და 10 მაისიდან – 11 ივნისამდე.

სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის სწავლების ცენტრმა უზრუნველყო 2 521 საგამოცდო ტესტის მომზადება, რომლებიც თანდართული პასუხებით, წინასწარი გაცნობისთვის გამოქვეყნდა ცესკოსა და სწავლების ცენტრის ვებგვერდებზე.

სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარების მსურველთა რეგისტრაცია განხორციელდა ონლაინ რეჟიმში¹², გამოცდები ჩატარდა ელექტრონული ტესტირების მეთოდით. თითოეული გამოსაცდელისთვის ავტომატურად, შემთხვევითი შერჩევის მეთოდით, შეირჩეოდა 30 საგამოცდო საკითხი, ხოლო გამსვლელი 24 ქულის მიღების შემთხვევაში გამოსაცდელს გადაეცემოდა საარჩევნო მოხელის სერტიფიკატი.

საგამოცდო ტესტი მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

- საქართველოს კონსტიტუცია – 6 საკითხი;
- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ – 17 საკითხი;
- ზოგადი უნარები (ვერბალური ნაწილი) – 2 საკითხი;
- ზოგადი უნარები (მათემატიკური ნაწილი) – 5 საკითხი.

სწავლების ცენტრმა თითოეული სასერტიფიკაციო გამოცდის შესახებ საინფორმაციო უზრუნველყოფის მიზნით დამზადა ვიდეო რგოლი, რომელიც განთავსდა 5 ტელევიზიონულ ეთერში, ცესკოსა და სწავლების ცენტრის ვებგვერდებსა და სოციალურ ქსელში (Facebook გვერდზე). ვიდეო რგოლს ახლდა სურდოთარგმანი (შესტური ენა) და ხელმისაწვდომი იყო ეთნიკური უმცირესობების ენებზე (სომხური და აზერბაიჯანული).

2016 წელს ჩატარებული საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების 3 გამოცდის შედეგები:

8 193 დარეგისტრირდა

2 822 გამოცხადდა

672 გამოცდა ჩააბარა და საარჩევნო მოხელის სერტიფიკატები მიიღო, მათ შორის, ქალი – 442 (65.78%), კაცი – 230 (34.22%).

11 სწავლების ცენტრი საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირებას ატარებს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად.

12 ონლაინ რეჟიმში რეგისტრაცია განხორციელდა სწავლების ცენტრის ვებგვერდზე <http://www.electionreforms.ge/> ცესკოს 2012 წლის 9 მარტის N13/2012 დადგენილებით დამტკიცებული „საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების შესახებ“ დებულების თანახმად.

მიზანი 3: ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის ეფექტურად წარმართვას ესაჭიროება გამართული ინფრასტრუქტურა.

2016 წლის განმავლობაში განხორციელდა საარჩევნო ოლქების უმეტესობის VPN ქსელით უზრუნველყოფა, მართვის ელექტრონული სისტემის „არმასი“ სრულყოფა, შენობების კეთილმოწყობა, ქონების აღრიცხვის სისტემის გაუმჯობესება, საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის (eDocument) განახლება და სხვა საქმიანობები.

მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა ქონების/მარაგების აღრიცხვის ელექტრონული პროგრამის დანერგვა.

საარჩევნო ოლქების VPN ქსელით უზრუნველყოფა

საარჩევნო ოლქებთან VPN კავშირის უზრუნველყოფისთვის შესწავლილ იქნა ოლქებში VPN ქსელის აწყობის შესაძლებლობა რამდენიმე საარჩევნო ოლქთან აიწყო საცდელი VPN კავშირი. დადგინდა კავშირის საიმედოობა, მოხდა CISCO-ს შესაბამის მოწყობილობებში კონფიგურაციის ჩაწერა და საარჩევნო ოლქებში მონაცაჟი.

აღსანიშნავია, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის სამოქმედო გეგმით VPN ქსელით უზრუნველყოფა დაგეგმილი იყო 10 საარჩევნო ოლქში, ხოლო 2016 წელს VPN კავშირი საპარლამენტო არჩევნებისთვის 41 საარჩევნო ოლქში დაინერგა.

არჩევნების მართვის ელექტრონული სისტემის „არმასი“ სრულყოფა

2016 წლის 28 იანვრის გარდაპნის გამგებლის რიგგარეშე და 22 მაისის საკრებულოს შუალედური არჩევნებისთვის არჩევნების მართვის ელექტრონული სისტემის „არმასი“ გამართულად ფუნქციონირებისთვის განახლდა მონაცემთა ბაზა, ცვლილება განიცადა დამკვირვებელთა, საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელთა და კანდიდატთა რეგისტრაციის მოდულებმა.

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის სისტემაში განხორციელდა არსებითი ცვლილებები. კანონმდებლობაში შესული ცვლილებების შესაბამისად, მოხდა სისტემის აღაპტაცია არჩევნების სპეციფიკასთან და მოდერნიზაცია განიცადა სისტემის ყველა მოდულმა.

საარჩევნო ადმინისტრაციის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

საარჩევნო ადმინისტრაციის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის შესყიდული იქნა სხვადასხვა სამუშაოები და მომსახურება. ჩატარდა სამუშაოები ცესკოს ებოს კეთილმოწყობისთვის, გაკეთდა ავტოსადგომი და ავტოსამრეცხაო, მოეწყო ელექტრო ქვესადგური (მძლავრი გენერატორი, დენის ტრანსფორმატორი და სტაბილიზატორი). ასევე, მცირე სარემონტო სამუშაოები ჩატარდა ცესკოს ადმინისტრაციულ შენობაში.

სარემონტო სამუშაოები ჩატარდა 17 საარჩევნო ოლქში. 4 საარჩევნო ოლქში ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოები შეფერხდა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიწოდებული იქნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის, ამჟამად მიმდინარეობს ტენდერი 6 საარჩევნო ოლქის გაზიფიცირების სამუშაოების შესყიდვაზე. დეტალური ინფორმაცია 2016 წელს განხორციელებული სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ იხილეთ ცხრილში (5).

შეჩიტი 5

ინფორმაცია ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ

№	ადგილმდებარეობა	სამუშაოს აღწერა	მიმწოდებელი	სახელშეკრულებო თანხა
1	ნინოწმინდა	სველი წერტილის მოწყობა	შპს ს.ა.ფ.მ	6,515.71
2	თელავი	წყლის სისტემის შეკეთება და მიმდინარე რემონტი	შპს მამული	2,289.00
3	აბაშა	გისოსების მოწყობა, ბათქაში, ლითონის თაროები	ი/მ ვლადისლავ ბულიგინი	2,868.36
4	ფოთი	შენობის გადახურვა, შენობის გაზიფიცირება, ელექტროობის მოწყობა	ი/მ ვლადისლავ ბულიგინი	11,574.64
5	ბათუმი	სახურავის გამოცვლა, მცირე დარბაზის გაკეთება, ოთახების გაერთიანება	ი/მ ვლადისლავ ბულიგინი	26,442.99
6	ლანჩხუთი	ოთახების გადატიხვრა, შიდა სარემონტო სამუშაოები, ცენტრალური გათბობის მოწყობა	შპს ჭორჭიან კომპანი	11,457.79
7	ჩოხატაური	სახურავის შეკეთება, კედლების დამუშავება და შეღებვა	შპს ჭორჭიან კომპანი	5,875.22
8	სამგორი	მიმდინარე შიდა სამუშაოები, იატაკის გამოცვლა და ფილების დაგება, ელ. ჩამრთველები, საწყობის მოწყობა, ოთახის გადატიხვრა, პანდუსის მოწყობა	ი/მ მამუკა ქვრივიშვილი	20,387.57
9	ვაკე	დაზიანებული იატაკის შეკეთება, საწყობის მოწყობა	ი/მ მამუკა ქვრივიშვილი	1,970.66

10	աճո	Ելեկտրոն Սուստըմիս մոնթով, օնքերներիս շեցանա	Ցըս մժյնեծելոյ 2013	794.9
11	Ծպոծուլո	Բյալցապահնողութեա դա սականալութեա օնք Սուստըմիս համոններ, օգտական գամուցանա, զուսմեթուրոն համոններ	Ցըս մժյնեծելոյ 2013	4,405.04
12	Բեռորոնցոց	Մենութեա սախուրացան, Ելեկտրոնութեա մոնթով, Տականութեա, օգտական դացեա, Կազմակերպութեա/ Մեջութեա, անուն կար- ունկրութեա մոնթացո	Ցըս սանա 2002	35,759.33
13	Մյաժիս	Կար-բանկրութեա գամուցանա, Տականութեա մոնթով, դա սանցութեա մոնթով, Գամատեանութեա մոնթացո	Ցըս պուսկարո	18,528.39
14	Ցուցանութեա	Սանցութեա մոնթով, Աղջումոնութեա զուրութեա գումանութեա դա կազմակերպութեա ամունքութեա, բանկրութեա ցուցանութեա մոնթով	Ցըս ծոլդերո	14,745.27
15	Քարելո	Ելեկտրոն Սուստըմիս մոնթով	Օ/Թ Պաարա Խաչապուրութեա	877.30
16	Եռնո	Սամունդրոն Սամունդրոն Բաժարութեա, օգտական Մեջութեա, գանատեա Սուստըմիս մոնթով	Ցըս մժյնեծելոյ 2013	7,282.15
17	Ցուցանութեա	Անուն գարութեա գարութեանութեա	Ցըս ցոլցութրումո	211,289.84

1	Ցուցանութեա	Դուանութեա գարութեանութեա	Ցըս տօնութեա սանութեա	5,999.98
2		Սամունդրոն Սամունդրոն Բաժարութեա, օգտական Մեջութեա, գանատեա Սուստըմիս մոնթով	Ցըս անութեա	202,116.00
3		Եթութեա մուսացալութեա դա Կազմակերպութեա	Ցըս օնչութեա	294,391.63
4		Սամունդրոն Սամունդրոն Բաժարութեա, օգտական Մեջութեա, գանատեա Սուստըմիս մոնթով	Օ/Թ Պաարա Խաչապուրութեա	6,498.36
5		Վաճառքանութեա սուստըմիս մոնթով	Ցըս ցոլցութրումո	22,603.48

ადმინისტრაციის ქონების/მარაგების ელექტრონულ ფორმატში აღრიცხვის სისტემის გაუმჯობესება

საარჩევნო ადმინისტრაციის ბალანსზე რიცხული ქონების ელექტრონულ ფორმატში აღრიცხვის სისტემის გაუმჯობესებისთვის, ცესკომი სპეციალურად შექმნილმა სამუშაო ჰგუფმა შეისწავლა საქართველოში არსებული კომპანიების მიერ შექმნილი ქონების/მარაგების აღრიცხვის ელექტრონული პროგრამები და შეიმუშავეს ტექნიკური ამოცანა და დავალება. პროგრამის შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში გამოვლინდა გამარტვებული კომპანია „FMG soft“.

ახალი პროგრამის დანერგვის მიზნით, სერვერზე განხორციელდა ოპერაციული სისტემის და ანტივირუსის ინსტალირება და სხვადასხვა პარამეტრების კონფიგურირება. საარჩევნო ადმინისტრაციის ქონების/მარაგების შესახებ არსებული მონაცემები ინტეგრირებულ იქნა ახალ სისტემაში.

ამჟამად, მიმდინარეობს ინფორმაციის დამუშავება საოლქო საარჩევნო კომისიებში არსებული ქონების შესახებ.

საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის (eDocument) განახლება

საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის (eDocument) განახლებისა და სრულყოფის მიზნით, სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის დამხმარებით განხორციელდა საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის (eDocument) განახლება, პროგრამაში არსებული საოპერაციო სიახლეების დანერგვა. განხორციელდა პროგრამული უზრუნველყოფა და დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა დანერგილია ცესკოს აპარატის 103 მომხმარებლისთვის.

ცესკოს თანამშრომლებს – საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის (eDocument) მომხმარებლებს, ჩაუტარდათ თეორიული/პრაქტიკული ტრენინგები.

ცესკოს სარეგისტრაციო და ადმინისტრაციული დეპარტამენტების მიერ უზრუნველყო იქნა **7 495** ერთეული შემოსული, **3 314** ერთეული გასული, **1 807** ერთეული შიდა ორგანიზაციული კორესპონდენციის რეგისტრაცია.

ცესკოს სტამბის ფუნქციონირება

2016 წლის განმავლობაში ცესკოს სტამბაში დაიბეჭდა ცესკოსა და სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული შემდეგი დოკუმენტები:

- საარჩევნო ადმინისტრაციის 2015-2019 წლის სტრატეგიული გეგმა;
- საარჩევნო ადმინისტრაციის 2016 წლის სამოქმედო გეგმა;
- საარჩევნო ადმინისტრაციის არჩევნების სანდოობის რისკების მართვის გეგმა;
- გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრის ოპერატორთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია;
- ცესკოს 2015 წლის წლიური ანგარიში;
- ცესკოსა და სწავლების ცენტრის 2016 წლის საქმიანობის კვარტალური (I და II) კონსოლიდირებული ანგარიშები;
- 2016 წელს ჩატარებული არჩევნების მასალები;

- სახელმძღვანელოები და მასალები ტრენინგებისთვის;
- საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელოები: ფინანსური მენეჯმენტი, საოლქო საარჩევნო კომისიების საქმისწარმოების წესი, საარჩევნო დავები, არჩევნების მართვის ელექტრონული სისტემის „არმასი“ მართვა, ინფორმაციული უსაფრთხოება, შიდა აუდიტის სამსახურის სტრუქტურა და რეკომენდაციები, მართვა და ეფექტური კომუნიკაცია;
- სახელმძღვანელო ერთგვაროვანი პრაქტიკა;
- სახელმძღვანელო ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ;
- საორიენტაციო პროგრამა ახალი თანამშრომლებისთვის და სტაჟიორებისთვის.





მიზანი 4: იმიტის განვითარება

არჩევნების შედეგების მიმართ ნდობის ასამაღლებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საარჩევნო ადმინისტრაციის საჭარო იმიტსა და რეპუტაციას. 2016 წელს საჭარო იმიტის განმტკიცებისთვის ცესკომ განსაზღვრა საინფორმაციო/საიმიჯო კამპანიის ძირითადი მიმართულებები, როგორც ამომრჩეველთა ინფორმირების, მედიასთან ურთიერთობის, საარჩევნო ადმინისტრაციისა და არჩევნებში ჩართული მხარეების ინფორმირების, არჩევნებთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზების კუთხით, ისე არჩევნების მართვის სფეროში საკონსულტაციო-საექსპერტო მომსახურების გაწევითა და რეგიონალურ ლიდერად პოზიციონირებით. შეიქმნა განახლებული ვებგვერდი და ეფექტურად მოქმედებდა სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრი.

მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა ახალი, ადაპტირებული ვებგვერდის შექმნა.

საარჩევნო ადმინისტრაციის ეფექტიანი საიმიჯო კამპანიის განხორციელება
საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის, გარე კომუნიკაციის გეგმის საფუძველზე, შეიქმნა კონცეფცია და განისაზღვრა საინფორმაციო/საიმიჯო კამპანიის ძირითადი მიმართულებები: ამომრჩეველთა და ჩართული მხარეების ინფორმირება, მედიასთან ურთიერთობა, საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზება.



შენი არჩევანის უზრუნველყოფა!



ცესკო
საქართველოს
სამსახური

საინფორმაციო/საიმიჯო კონცეფციის შესაბამისად, შემუშავდა ახალი სლოგანები „შენი არჩევანის უზრუნველყოფა“ და „დემოკრატიის სერვისი“, ასევე შეიქმნა და დამტკიცდა ახალი ლოგო „არჩევნები 2016“, რომელიც გამოიყენებოდა კამპანიის მიმდინარეობისას.

განხორციელებული კამპანიის მიზანი იყო მოსახლეობის მაქსიმალური ინფორმირება იმ სერვისების შესახებ, რომლებსაც საარჩევნო აღმინისტრაცია სთავაზობდა საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის.

საინფორმაციო/საიმიჯო კამპანიის საფუძველზე შეიქმნა და განთავსდა:

- 11 ვიდეო რგოლი – 13 ცენტრალურ და 25 რეგიონულ ტელევიზიაში;
- 11 აუდიო რგოლი – 14 ცენტრალურ და 11 რეგიონულ რადიოში;
- სარეკლამო ბანერები – 30 ცენტრალურ და 20 რეგიონულ საინფორმაციო სააგენტოს ვებგვერდზე;
- საინფორმაციო/საიმიჯო მასალები – 11 ცენტრალურ და 22 რეგიონულ გაზეთში;
- 37 გარე ბანერი – საქართველოს მასშტაბით.

ცესკოს ყველა საინფორმაციო ვიდეო რგოლი უზრუნველყოფილი იყო სურდოთარგმანით (უესტური ენა), ასევე ითარგმნა ეთნიკური უმცირესობების ენებზე (სომხური და აზერბაიჯანული).



საინფორმაციო აქციები

ამომრჩეველთა გააქტიურების მიზნით ცესკომ 22 საინფორმაციო აქცია ჩაატარა.

„გადაამოწმე მონაცემები ამომრჩეველთა ერთიან სიაში“ – ცესკოს წარმომადგენლებმა სავაჭრო ცენტრებში, მეტროს სადგურების მიმდებარე ტერიტორიაზე, საგამომცემლო სახლში „ბიბლუსი“ და სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, მოქალაქეებს გააცნეს სწრაფი გადახდის აპარატში არსებული აპლიკაციის მოხმარების წესი და პლანშეტის საშუალებით ამომრჩეველთა ერთიან სიაში საკუთარი და ოჭახის წევრების მონაცემების გადამოწმებაში დაეხმარნება. გადაამოწმების შესაძლებლობას სწრაფი გადახდის 7 000 ტერმინალი იძლეოდა. სულ ცესკოს მიერ შეთავაზებული ამომრჩეველთა მონაცემების გადამოწმების სერვისებით 954 543-მა ამომრჩეველმა ისარგებლა.

„ქოლგების აქცია“ – არჩევნების მეორე ტურში ამომრჩეველთა გააქტიურების მიზნით, ცესკომ და სწავლების ცენტრმა აქციები გამართეს დღესასწაულებზე „თბილისობა“ და „მცხეთობა“. მოქალაქეებმა არჩევნებში აქტიური მონაწილეობის მზადყოფნა დააფიქსირებს და ნების გამოსახატად საარჩევნო ყუთში სიმბოლურად მწვანე ბარათები წარწერით „მე აქტიური ამომრჩეველი ვარ“ მოათავსეს. აქციებზე გავრცელდა ამომრჩევლებისთვის შემუშავებული საინფორმაციო მასალა და ხმის მიცემის პროცედურების ამსახველი ბუკლეტები.

აქცია-მსვლელობა – პარლამენტის არჩევნების მეორე ტურამდე ორი დღით ადრე ცესკოს თანამშრომლებმა აქცია-მსვლელობა გამართეს და ამომრჩევლებს არჩევნების მეორე ტურში აქტიური მონაწილეობისკენ მოუწოდეს.



ცესკოს ვებგვერდის განახლება

2016 წელს ცესკოს ვებგვერდი როგორც შინაარსობრივი, ისე ტექნიკური და ვიზუალური თვალსაზრისით განახლდა. გამარტივდა საძიებო სისტემა და განხორციელდა ამომრჩევლებისთვის განკუთვნილი ინფორმაციის დიფერენციაცია. ვებგვერდი უკეთ მოერგო მომხმარებელთა საჭიროებებს და შესაძლებელი გახდა ინფორმაციის მოძიება კონკრეტული არჩევნების პერიოდის მიხედვით, 2006 წლის თვითმმართველობის არჩევნებიდან დღემდე.

ვებგვერდი ადაპტირებულია უსინათლო პირებისთვის და ინფორმაციის ძირითადი ნაწილი განთავსებულია მათთვის ხელმისაწვდომ ფორმატში.

ვებგვერდზე გაჩნდა კატეგორია ამომრჩევლები/„ინფორმაცია შშმ პირებისთვის“, სადაც განთავსდა ინფორმაცია შეგღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ხელმისაწვდომი სერვისების, ადაპტირებული უბნების, ინფორმირების კამპანიისა და საკანონმდებლო რეგულაციების შესახებ. აგრეთვე, კატეგორია ამომრჩევლები/„ინფორმაცია ეთნიკური უმცირესობებისთვის“ – სადაც როგორც ქართულ, ისე სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე განთავსდა ინფორმაცია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებისთვის ხელმისაწვდომი სერვისების, კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში არსებული 12 საარჩევნო ოლქსა და მათში შემავალი საარჩევნო უბნების შესახებ. საარჩევნო პერიოდში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლებისთვის ამომრჩეველთა ერთიან სიაში არსებული მონაცემები მათთვის გასაგებ ენაზეა განთავსებული.

ვებგვერდს დაემატა ბანერი „გენდერული ბალანსი“, სადაც როგორც დიაგრამების, ისე ცხრილის სახით განთავსდა სხვადასხვა არჩევნების გენდერული სტატისტიკა (ქალი/ვაცი) პროცენტული (%) მაჩვენებლით. ინფორმაცია მოიცავს გენდერულ ჭრილში დამუშავებულ სტატისტიკურ მონაცემებს 2014 წლიდან დღემდე.

ვებგვერდს დაემატა სიახლე – სპეციალურად შექმნილ საინფორმაციო რესურსზე, შემუშავებული სტანდარტის მიხედვით, განთავსდა ინფორმაცია საარჩევნო ხარჯების შესახებ.

ახალი ვებგვერდი მორგებულია როგორც პერსონალური კომპიუტერის, ისე მობილური ტელეფონისა და პლანშეტის გაფართოებაზე. პლანიკაციის საშუალებით ნებისმიერ მოქალაქეს, „ანდროიდის“ სისტემის მობილური ტელეფონის ან/და პლანშეტის გამოყენებით, შეუძლია ამომრჩეველთა ერთიან სიაში გადამონაბრე საკუთარი და ოჭახის წევრების მონაცემები და ნახოს რომელ საარჩევნო უბანზეა რეგისტრირებული.

ვებგვერდზე ფუნქციონირებს ონლაინ ოპერატორის სერვისი, რომლის მეშვეობით საბლვარგარეთ მყოფ ამომრჩევლებს უფასოდ შეუძლიათ დაუკავშირდნენ ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრის ოპერატორს.

განახლებული ვებგვერდი საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES), უსინათლოთა კავშირთან და უსინათლოთა საკითხებზე მომუშავე ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობით შეიქმნა. აღსანიშნავია, რომ ეს საქართველოში პირველი ქართული ვებგვერდია, რომელიც სრულად არის ხელმისაწვდომი უსინათლო პირებისთვის.

სწავლების ცენტრის ვებგვერდის განახლება

სწავლების ცენტრმა ინფორმატიული, გამარტივებული და ვიზუალური თვალსაზრისით განახლებული ვებგვერდი შექმნა. სხვადასხვა სიახლეთა შორის აღსანიშნავია:

საგრანტო პროექტების საორიენტაციო რუკა, რომელიც მოიცავს დეტალურ მონაცემებს საგრანტო კონკურსების ფარგლებში დაფინანსებული ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ პროექტების განხორციელების შესახებ.

სტატისტიკურ მონაცემთა კატალოგები, სადაც შესაბამისი მონაცემები ხელმისაწვდომია სწავლების ცენტრის მიერ განხორციელებული პროექტების მიხედვით, მათ შორის გენდერულ ჭრილში.

ახალი ფორმატის ელექტრონული ბიბლიოთეკა, სადაც სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებულ სასწავლო მასალებთან ერთად განთავსებულია ელექტრონული სასწავლო პროგრამები. მაქსიმალურად უზრუნველყოფილია აღნიშნული სასწავლო რესურსის ხელმისაწვდომობა ეთნიკური უმცირესობების (სომხური და აზერბაიჯანული), ინგლისურ და ჟერმურ ენებზე. ვებგვერდი მორგებულია პორტატულ ტექნოლოგიებზე (მობილურ ტელეფონსა და პლანშეტე), ადაპტირებულია უსინათლო მომხმარებლებისთვის და ინფორმაციის ძირითადი ნაწილი განთავსებულია მათთვის ხელმისაწვდომ ფორმატში.

სოციალური მედია

ცესკო აქტიურად იყენებს სოციალურ მედიას ამომრჩეველთა ინფორმირებისთვის. საანგარიშო პერიოდში რეგულარულად ხორციელდებოდა ცესკოსა და ცესკოს თავმჯდომარის „Facebook“ გვერდების ადმინისტრირება. ოპერატიულად ხდებოდა რეაგირება მომხმარებელთა მხრიდან დასმულ შეკითხვებზე, რომელთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა წლის განმავლობაში.

რამდენჯერმე განთავსდა რეკლამა სოციალურ ქსელში „Facebook“, რამაც გაზარდა მომხმარებელთა და მოწონებების რაოდენობა. ცესკოს ოფიციალურ გვერდზე „მოწონების“ რაოდენობა 35 301-დან 51 160-მდე, ხოლო ცესკოს თავმჯდომარის თამარ ჟვანიას გვერდზე 12 611-დან 23 207-მდე გაიზარდა.

სოციალურ ქსელში „Twitter“ შეიქმნა ცენტრალური საარჩევნო კომისიის პროფილი, რომელსაც ამჟამად ყავს 2 343 მეგობარი და 582 გამომწერი.

საჭარო კომუნიკაცია

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი უზრუნველყოფდა ცესკოს აქტივობების შესახებ მედიის, ყველა დაინტერესებული პირისა და საზოგადოების ინფორმირებას ვებგვერდის, სოციალური ქსელების, მედიასთან და ჩართულ მხარეებთან უშუალო კონტაქტის საშუალებით. საანგარიშო პერიოდში მომზადდა და ვებგვერდზე განთავსდა 327 სიახლე საარჩევნო ადმინისტრაციის აქტივობების შესახებ. ვებგვერდზე გამოქვეყნდა და დაინტერესებულ პირებს მიეწოდა ინფორმაცია ცესკოს 97 სხდომის შესახებ. მომზადდა 10 საინფორმაციო ბიულეტენი, რომელიც ითარგმნა ინგლისურ ენაზე. დეპარტამენტმა ორგანიზება გაუწია 50 საინფორმაციო ბრიფინგს.

აღსანიშნავია, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია არის საქართველოში პირველი ინსტიტუცია, რომელმაც დანერგა და უზრუნველყო საინფორმაციო ბრიფინგების პირდაპირ ეთერში სურდოთარგმანის თანხლებით გაშუქება.




მედიამონიტორინგი

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი ყოველდღიურად ახორციელებდა ქართული და საერთაშორისო მედია საშუალებების, ცესკოსა და ზოგადად ქვეყნის მნიშვნელოვანი პოლიტიკური სიახლეების მონიტორინგს. მედიამონიტორინგის ანგარიში დღის განმავლობაში ორჯერ ეგზავნებოდა კომისიის წევრებს და აპარატის თანამშრომლებს. მონიტორინგი მოიცავს 70-ზე მეტ ქართულ საინფორმაციო სააგენტოს, ბეჭდური მედიის ყველა წამყვან გამოცემას და სატელევიზიო არხების საინფორმაციო და პოლიტიკურ პროგრამებს. 2016 წლის განმავლობაში მედიაში ცესკოს მოხსენიების რაოდენობრივი მაჩვენებელი იხილეთ დიაგრამაში (1).

ელაპჩამა 1

ობიექტების რაოდენობრივი მაჩვენებელი



ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრის /2510051/ ფუნქციონირება



ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრი უზრუნველყოფს ამომრჩეველთა და დაინტერესებულ პირთა ინფორმირებას საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით.

2016 წელს, სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრმა უზრუნველყო სხვადასხვა სახის 29 207 სერვისის მიწოდება, აქედან: შემოსული ზარების რაოდენობამ შეადგინა – 21 119, ონლაინ ჩათში შემოსული მომხმარებელთა რაოდენობამ – 5 230, განხორციელდა – 1 294 გამავალი ზარი, ავტომატური საინფორმაციო მომსახურებით ისარგებლა 1 226-მა, ხოლო მოკლე ტექსტური შეტყობინება (SMS) გაეგზავნა 338 მომხმარებელს.

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის, სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრის გამართულად მუშაობისთვის ოპერატორებისთვის განახლდა სახელმძღვანელო და პროგრამა „Searcher“ (დამუშავდა 2 030 კითხვა/პასუხი).


სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრში, საარჩევნო პერიოდში, კონკურსის შედეგად, დასაქმდა 28 ოპერატორი, მათ შორის 4 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი 4 ახალგაზრდა, რომლებიც დაინტერესებულ პირებს აწვდიდნენ ინფორმაციას როგორც ქართულ, ისე სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

ოპერატორების კვალიფიკაციის ამაღლება ცესკოს სტრუქტურული ერთეულებისა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა, ტრენინგების გეგმის შესაბამისად, სამ ეტაპად განახორციელეს. სასწავლო კურსი მოიცავდა შემდეგ საკითხებს: ინტერნეტ ტელეფონის „CRM“-ის, საძიებო პროგრამა „Searcher“-ის, ონლაინ ჩათისა და ცესკოს ვებგვერდის გამოყენება, ეფექტური კომუნიკაცია და მომსახურება, საარჩევნო კოდექსის მიმოხილვა, საარჩევნო პროცედურები, არჩევნებში ჩართული მხარეები, კენჭისყრის დღის პროცედურები, საარჩევნო დავები და ადმინისტრაციის სტრატეგიული გეგმა.

სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრში რეგულარულად ხორციელდება სტატისტიკური მონაცემების დამუშავება, რომელიც ხელმისაწვდომია ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე. იხილეთ დიაგრამა (2) (3).


ერთეული 2

სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრის 2016 წლის კვარტალური სტატისტიკა



ეინდენაზ 3

სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრის მონაცემების 2015 და 2016 წლის შედარება



ბრენდირებული პროდუქციის დამზადება

საანგარიშო პერიოდში დამზადდა სხვადასხვა სახის ბრენდირებული პროდუქცია. საბოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ორგანიზებით, ბრენდირებული პროდუქცია და ცესკოსა და სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული სხვადასხვა სახის სახელმძღვანელოები არჩევნებში ჩართულ ყველა დაინტერესებულ მხარეს (საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობები, პოლიტიკური პარტიები, ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, მედია, საარჩევნო სუბიექტები) დაეგზავნა. ბრენდირებული პროდუქცია გამოყენებულ იქნა ამომრჩეველთა საინფორმაციო აქციებზე.



სოციალური აქციები

2016 წლის განმავლობაში ცესკოს თავმჯდომარემ, მოადგილემ, კომისიის წევრებმა, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებმა და თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ სოციალურ აქციებში:

13 მარტი – დაუნის სინდრომის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით ჩატარებული

ღონისძიების „ჩემი მეგობრები – ჩემი გარემოცვა“ ფარგლებში ესტუმრნენ საგამოფენო ცენტრს, სადაც თანამედროვე ფოტოგრაფების მიერ გადაღებული დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების პორტრეტები იყო გამოფენილი და შეიძინეს შვერტი მიერ შექმნილი ხელნაკეთი ნივთები.

29 აპრილი – აღდგომის ბრნყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, ესტუმრნენ თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატს და 69 ბენეფიციარს სააღდგომო ტკბილეული და ცესკოს ბრენდირებული პროდუქცია გადასცეს საჩუქრად.

1 ივნისი – ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სისხლის ჩაბარების აქცია გაიმართა. საარჩევნო აღმინისტრაციის თანამშრომლებმა ლეიკემიით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად გაიღეს სისხლი. აქცია მ. იაშვილის სახელობის კლინიკის ბაზაზე არსებული სისხლის ბანკთან თანამშრომლობით ჩატარდა.

27 დეკემბერს – შობა-ახალი წლის დღესასწაულებთან დაკავშირებით, თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატს ესტუმრნენ და საარჩევნო აღმინისტრაციის სახელით 62 ბენეფიციარს საჩუქრად საახალწლო ტკბილეული და ცესკოს ბრენდირებული პროდუქცია გადასცეს.

გარდა სოციალური აქციებისა, ცესკოს წარმომადგენლებმა აფხაზეთში საომარი მოქმედების დროს, აგვისტოს ომში, მეორე მსოფლიო ომში, 9 აპრილს დაღუპული გმირების ხსოვნას მიაგეს პატივი და მათი მემორიალები გვირგვინებით შეამკეს.





საარჩევნო ადმინისტრაციების ყოველწლიური შეხვედრა „არჩევნების სანდოობა“

2016 წლის 16-17 თებერვალს გაიმართა საარჩევნო ადმინისტრაციების რიგით მეექვსე ყოველწლიური შეხვედრა თემაზე „არჩევნების სანდოობა“, რომლის ორგანიზება ცესკომ საპარლამენტო სწავლებების საერთაშორისო ცენტრთან (ICPS) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობითა და მხარდაჭერით განახორციელა.

შეხვედრაზე განიხილეს შემდეგი საკითხები: საარჩევნო პროცესის სანდოობის უზრუნველყოფის ძირითადი ასპექტები, ამომრჩევლის აქტივობის გავლენა არჩევნების სანდოობაზე, მიგრაციის პრობლემები, მიუკერძოებელი სადამკვირვებლო გარემოს უზრუნველყოფა, შედეგების გამოქვეყნება, გამჭვირვალობა და ჩართულობის უზრუნველყოფა, ასევე, განხილულ იქნა სხვადასხვა ინოვაციური პროგრამები და ტექნოლოგიები.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 19 ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაციის, 16 საერთაშორისო ორგანიზაციისა და საარჩევნო ტექნოლოგიებზე ორიენტირებული 5 კომპანიის 105-მა წარმომადგენელმა. ყოველწლიურ შეხვედრაში პირველად მიიღეს მონაწილეობა ხორვატის, იორდანისა და ნამიბიის საარჩევნო მოხელეებმა. მონაწილეთა რაოდენობის ზრდა მიუთითებს კონფერენციის მიმართ მზარდ ინტერესზე სხვა ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან.

ინფორმაცია საარჩევნო ადმინისტრაციების ყოველწლიური საერთაშორისო შეხვედრის შესახებ გაშუქდა ყველა წამყვანი ქართული მედია საშუალების მიერ. ევროპის საარჩევნო მოხელეთა ასოციაციამ (ACEEE) გამოაქვეყნა საინფორმაციო ბიულეტენი, სადაც დადებითად არის შეფასებული შეხვედრა – როგორც საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების პლატფორმა. ინფორმაცია 2011 – 2016 წლებში საქართველოში გამართული საარჩევნო ადმინისტრაციების ყოველწლიური შეხვედრების შესახებ იხილეთ ცხრილში (6)

შეჩიტი 6

საქართველოში გამართული საარჩევნო ადმინისტრაციების ყოველწლიური შეხვედრები

დასახელება	წელი	თემა	მონაწილეთა რაოდენობა
საარჩევნო ადმინისტრაციების შეხვედრა	2011	პრინციპების შემუშავება სამომავლო თანამშრომლობისთვის	46
საარჩევნო ადმინისტრაციების მეორე ყოველწლიური შეხვედრა	2012	რეგიონული გამოცდილების გაზიარება	36
საარჩევნო ადმინისტრაციების მესამე ყოველწლიური შეხვედრა	2013	კონფლიქტების მართვა საარჩევნო პროცესებში	101
საარჩევნო ადმინისტრაციების მეოთხე ყოველწლიური შეხვედრა	2014	დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და ეფექტური კომუნიკაციები	94
საარჩევნო ადმინისტრაციების მეხუთე ყოველწლიური შეხვედრა	2015	ინკლუზიური არჩევნები	92
საარჩევნო ადმინისტრაციების მეექვსე ყოველწლიური შეხვედრა	2016	არჩევნების სანდოობა	105



პრიორიზაცია

სამოქადაფო და
ამონიკური განათლება

მიზანი 1: სამოქალაქო და ამორჩევის საბანანათლებლო პროგრამების განხორციელება

საარჩევნო ადმინისტრაცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, ამომრჩევლის განათლებას. 2016 წელს, ცესკომ შეიმუშავა გარე კომუნიკაციის გეგმა და განახორციელა საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროგრამები ამომრჩევლებისათვის, მათ შორის, ახალგაზრდებისთვის და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ამომრჩევლებისთვის. მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა საგანმანათლებლო პროგრამების გაფართოება.

საარჩევნო ადმინისტრაციის გარე კომუნიკაციის გეგმა

2016 წელს, ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით, შეიქმნა საარჩევნო ადმინისტრაციის გარე კომუნიკაციის გეგმა, რომლის საფუძველზეც განხორციელდა საარჩევნო ადმინისტრაციის იმიჯის ფორმირება, სარეკლამო და საინფორმაციო კამპანია, საჭარო აქტივობა და ურთიერთობა ჩართულ მხარეებთან. გარე კომუნიკაციის კონცეფცია გულისხმობს, რომ ცესკო არის დამოუკიდებელი, ნეიტრალური და მაღალპროფესიული კადრებით დაკომპლექტებული ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს დემოკრატიული, სანდო და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას ქვეყანაში, მის სრულ გამჭვირვალობას და ამომრჩეველთა ინფორმირებული არჩევანის განხორციელების ხელშეწყობას.

საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები

ცესკომ და სწავლების ცენტრმა, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით, განახორციელა საინფორმაციო-სასწავლო პროექტი „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“. საინფორმაციო-სასწავლო კურსი მიზნად ისახავს სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით და ხელს უწყობს საარჩევნო ადმინისტრაციაში კვალიფიციური საკადრო რესურსის ფორმირებას.

ტრენინგთა ტრენინგის ფარგლებში გადამზადებულმა 25 ტრენერმა (საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერები და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრები), სასწავლო კურსი განახორციელეს მაღალმთიან და ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ 22 მუნიციპალიტეტში¹³, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ 11 მუნიციპალიტეტში. სასწავლო კურსის ფარგლებში განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: კენჭისყრის წინა პროცედურები, კენჭისყრის პროცესი, საარჩევნო უბნის დახურვა, კენჭისყრის შედეგების შეჯამება, კენჭისყრის დღის განცხადება/საჩივრები. პრაქტიკული სწავლების ფორმატში, სასწავლო კურსის მონაწილეებისთვის ნაჩვენები იქნა სასწავლო ფილმი „კენჭისყრის დღის პროცედურები“.

13 ადმინისტრატორის კურსები ჩატარდა შემდეგ მუნიციპალიტეტებში: თიანეთი, კასპი, დუშეთი, ხულო, შუახევი, ქედა, მესტია, ლენტეხი, ცაგერი, ამბროლაური, ონი, ახალციხე, ნინოწმინდა, ახალქალაქი, საგარეჯო, ლაგოდეხი, წალკა, გარდაბანი, თეთრიწყარო, დმანისი, ბოლნისი, მარნეული.

პროექტის „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“ შესახებ ვიდეო რგოლი 25 აპრილიდან 4 მაისის ჩათვლით განთავსდა 8 ტელეკომპანიის¹⁴ ეთერში.

სასწავლო კურსი 24 მაისიდან 9 ივნისის პერიოდში განხორციელდა და სწავლება 804-მა მონაწილემ გაიარა.

ახალგაზრდა ამომრჩევლისთვის საინფორმაციო-საგანმანათლებლო

პროგრამების მომზადება/განხორციელება

2016 წელს ცესკოსა და სწავლების ცენტრის მიერ, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის განხორციელდა 5 სასწავლო პროგრამა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 3 446-მა პირმა. ინფორმაცია პროგრამების შესახებ იხილეთ ცხრილში (7).

შეჩერი 7

სასწავლო პროგრამები

№	სასწავლო პროგრამა	მონაწილეთა რაოდენობა
1	ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველი	1 052
2	სასწავლო კურსი საარჩევნო სამართლის დარგში	686
3	იურიდიული კლინიკა	20
4	არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი	1 235
5	საარჩევნო განვითარების სკოლა	453
სულ		3 446

14 ვიდეო რგოლი განთავსდა შემდეგი ტელეკომპანიების ეთერში: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი და მე-2 არხი, აჭარა, პალიტრანიუსი, კავკასია, იბერია, ჭი-დი-ესი, ტაბულა.

სემინარები უნივერსიტეტებში ახალგაზრდა ამომრჩევლებისთვის „ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველი“

ცესკოს, სწავლების ცენტრსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, სწავლების ცენტრმა განახორციელა პროექტი „ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველი“, რომელიც მიზნად ისახავდა ახალგაზრდა ამომრჩეველთა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობას და იმ ახალგაზრდების გააქტიურებას, რომლებიც პირველად იღებდნენ არჩევნებში მონაწილეობას.

პროექტის ფარგლებში უნივერსიტეტების¹⁵ სტუდენტებისთვის, ორ ნაკადად ჩატარდა სემინარები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს 18-დან 21 წლამდე ასაკის ახალგაზრდა ამომრჩევლებმა. სემინარების ჩატარება უზრუნველყო სწავლების ცენტრის 9 ტრენირმა, რომლებმაც შესაბამისი ტრენირობა ტრენინგი გაიარეს. ტრენირებმა სემინარების ფარგლებში მონაწილეებს გააცნეს ისეთი საკითხები, როგორიცაა: არჩევნები და არჩევნების როლი ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში, არჩევნების ჩატარების ძირითადი პრინციპები, არჩევნებში ჩართული მხარეები და მათი უფლებამოსილებები, ხმის მიცემის პროცედურები.

სემინარები 11-25 მაისსა და 24-28 ოქტომბერს, 12 უნივერსიტეტში (ქ. თბილისის 7 და 5 რეგიონული უნივერსიტეტი) ჩატარდა და მონაწილეობა მიიღო 1 052-მა სტუდენტმა.

სასწავლო კურსი საარჩევნო სამართლის დარგში საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში

სამოქალაქო განათლების მიმართულებით 2010 წლიდან სწავლების ცენტრი, ცესკოს, სწავლების ცენტრისა და უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, ახორციელებს ინტენსიურ სასწავლო პროგრამას საარჩევნო სამართლის დარგში 19 უნივერსიტეტის იურიდიული, უკრნალისტიკისა და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტების სტუდენტებისთვის.

სასწავლო პროგრამის იმპლემენტაციის მიზნით, სასწავლო პროგრამაში ჩართულ ლექტორებს გადაეცა სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული სასწავლო მასალები: ელექტრონული პრეზენტაციები, პრაქტიკული სავარჯიშოები, დამხმარე სახელმძღვანელოები ლექტორებისა და სტუდენტებისთვის.

სასწავლო კურსი მოიცავდა შემდეგ სასწავლო მოდულებს: საქართველოს საარჩევნო სამართლის ისტორია, საარჩევნო სამართლის წყაროები და პრინციპები, საარჩევნო სისტემები, საარჩევნო ადმინისტრაციის სტატუსი და სისტემა, წინასაარჩევნო კამპანია, არჩევნების დაფინანსება, არჩევნების მონიტორინგი და მედია, საარჩევნო დავები, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები, საქართველოს პარლამენტის არჩევნები, აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნები, ქალაქის/თემის მერის/გამგებლის არჩევნები, რეფერენდუმი და პლებისციტი.

15 2016 წელს პროექტი „ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველი“ განხორციელდა საქართველოს 12 უნივერსიტეტში: ივ. ჭავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი, გრიგოლ რობაგიძის სახელობის უნივერსიტეტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამცხე ჭავახეთის სახელმწიფო სასახლო უნივერსიტეტი, გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი.

სწავლება განხორციელდა შემდეგი მეთოდოლოგიით: ელექტრონული სწავლება (გამოიყენებოდა ვიზუალიზებული ელექტრონული პროგრამა და სასწავლო ფილმი – „კენჭისყრის დღის პროცედურები“), ვერბალური სწავლება, პრაქტიკული სწავლება (პრაქტიკული სავარჯიშოები, ტესტები, სიტუაციური კაბუსები), როლური თამაშები (საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომის ინსცენირება, კენჭისყრის დღის ინსცენირება).

სასწავლო პროგრამა 22 თებერვლიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, 13 უნივერსიტეტში განხორციელდა და მასში მონაწილეობა მიიღო 686-მა სტუდენტმა.

იურიდიული კლინიკა

სწავლების ცენტრმა იურიდიული კლინიკის ფორმატში განახორციელა სასწავლო კურსი საარჩევნო სამართლის დარგში. სასწავლო კურსი მიზნად ისახავს უნივერსიტეტებში თანამედროვე მიმართულებებისა და მეთოდების დანერგვით, სტუდენტებისთვის აუცილებელი პროფესიული ცოდნის გაღრმავებას საარჩევნო სამართლის დარგში, მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებასა და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას.

სწავლება განხორციელდა ოთხ ეტაპად: I ეტაპი – თეორიული და პრაქტიკული სწავლება, II ეტაპი – დისტანციური სწავლება, III ეტაპი – როლური თამაშები, IV ეტაპი – ფინალური გამოცდა.

2016 წლის 19 აპრილიდან 1 ივლისამდე, სასწავლო კურსი 2 უნივერსიტეტის (ივ. ჰავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი) იურიდიული ფაკულტეტის 20-მა სტუდენტმა გაიარა.

საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“

საჭარო სკოლებში XI – XII კლასების მოსწავლეებისთვის

ცესკომ და სწავლების ცენტრმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით, საჭარო სკოლებში განახორციელეს პროგრამა „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“, რომლის მიზანია ახალგაზრდებმი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაზრდა.

ტრენირთა ტრენინგის ფარგლებში გადამზადებულმა 47-მა ტრენირმა (20 საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი და კონკურსის წესით შერჩეული 27 ტრენირი), სასწავლო პროექტი განახორციელეს 21 მუნიციპალიტეტში¹⁶ მათ შორის, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ 14 მუნიციპალიტეტისა და 7 მაღალმთიანი რეგიონის საჭარო სკოლებში. სასწავლო კურსის ფარგლებში განხილულ იქნა შემდეგი მოდულები: არჩევნების ისტორიული ექსკურსი და თანამედროვეობა, არჩევნები და დემოკრატია, საარჩევნო ადმინისტრაცია და ამომრჩეველი, არჩევნებში ჩართული მხარეები. კურსის ბოლოს მოსწავლეებმა ჩატარეს იმიტირებული არჩევნები.

პროექტის „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“ შესახებ ვიდეო რგოლი 12 მაისიდან 22 მაისის ჩათვლით განთავსდა 13 ტელეკომპანიის¹⁷ ეთერში.

საინფორმაციო-სასწავლო პროგრამა 4 აპრილიდან 20 მაისამდე, 73 საჭარო სკოლაში განხორციელდა და სასწავლო კურსი გაიარა XI–XII კლასის 1 235-მა მოსწავლემ.

16 სასწავლო პროგრამა ჩატარდა შემდეგ მუნიციპალიტეტებში: მარნეული, ბოლნისი, დმანისი, თეთრინყარო, გარდაბანი, რუსთავი, ნალკა, თელავი, ლაგოდეხი, საგარეჯო, მცხეთა, ახალქალაქი, ნინოწმინდა, ახალციხე, ამბროლაური, ცაგერი, ლენტეხი, მესტია, ქედა, შუახევი, ხულო.

17 ვიდეორგოლი განთავსდა შემდეგი ტელეკომპანიების ეთერში: ქვემო ქართლი, რიონი, ოდიში, მე-9 არხი, გურჯაანი ტვ, თანამგზავრი, იბერია, პალიტრანიუსი, ჭა-დი-ესი, ტაბულა, აჭარა, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი და მეორე არხი.

საარჩევნო განვითარების სკოლა

პარტნიორობა ევროპის საბჭოს საარჩევნო პროგრამის ფარგლებში



ევროპის საბჭომ (CoE) განახორციელა ახალი საარჩევნო პროგრამა საქართველოში, რომელიც 2016 წლის საპარლამენტო, 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობისა და 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს საქართველოს მხარდაჭერას გულისხმობს. პროგრამის მთავარი პარტნიორები არიან ცესკო და სახელმწიფო აუდიტის სამსახური. ახალი საარჩევნო პროგრამა ევროპის საბჭოს 2016-2019 წლების სამოქმედო გეგმის ნაწილია და მიზნად ისახავს საარჩევნო ადმინისტრაციის აღმასრულებელი, ფუნქციონალური და მენეჯერული შესაძლებლობების გაძლიერებას. პროგრამის ფარგლებში ცესკომ პირველად მიიღო პირდაპირი წესით, მიზნობრივი გრანტი საერთაშორისო ორგანიზაციის მხრიდან, პროექტის „საარჩევნო განვითარების სკოლა“ განხორციელების მხარდასაჭერად.

ცესკომ და სწავლების ცენტრმა, ევროპის საბჭოსა (CoE) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით, განახორციელეს პროექტის „საარჩევნო განვითარების სკოლა“ მორიგი ეტაპი. პროექტის მიზანი იყო სამოქალაქო ჩართულობის ზრდის ხელშეწყობა და არჩევნების პოპულარიზაცია ახალგაზრდებში, ხოლო სამიზნე ჰავაზე წარმოადგენდნენ 18-24 წლის ახალგაზრდები.

საარჩევნო ადმინისტრაციის ინიციატივამ პროექტის განხორციელების შესახებ, ახალგაზრდების დიდი ინტერესი გამოიწვია, მაგრამ სასწავლო კურსის განხორციელების დროს დაინიშნა საქართველოს პარლამენტის არჩევნები, რის გამოც, სწავლება მხოლოდ ერთ ეტაპად განხორციელდა.

პროექტის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, დამზადდა 2 ვიდეორგოლი, რომელიც განთავსდა 10 ცენტრალური და 14 რეგიონული ტელეკომპანიის ეთერში.

სასწავლო კურსი, ტრენინგთა ტრენინგის ფარგლებში გადამზადებულმა, საოლქო საარჩევნო კომისიების 45-მა წევრმა ჩაატარა. პროექტი 4 ივნისიდან 5 აგვისტომდე, 20 მუნიციპალიტეტში განხორციელდა¹⁸ და მასში მონაწილეობა მიიღო 453-მა ახალგაზრდამ.

18 საარჩევნო განვითარების სკოლა 2016 წელს ჩატარდა შემდეგ მუნიციპალიტეტებში: თელავი, გურჯაანი, რუსთავი, მარნეული, გორი, ახალციხე, ქუთაისი, ბუგდიდი, ობურგეთი, ბათუმი, გარდაბანი, სენაკი, ფოთი, ქობულეთი, სიღნაღმი, ბორჯომი, ბესტაფონი, საჩხერე, ამბროლაური, დუმეთი.

მიზანი 2: საარჩევნო კულტურის განვითარება

დემოკრატიული საარჩევნო გარემოს ფორმირებისთვის საარჩევნო ადმინისტრაცია მნიშვნელოვნად მიიჩნევს საარჩევნო კულტურის განვითარებას.

2016 წელს, ცესკომ განახორციელა სხვადასხვა სასწავლო პროგრამები საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეებისთვის და გააუმჯობესა დისტანციური სწავლების შესაძლებლობა, განახლა სასწავლო-საინფორმაციო ფილმი „კენჭისყრის დღის პროცედურები“ და ჩატარა ღია კარის დღეები ცესკოში.

მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა ჩართული მხარეების წარმომადგენელთა რაოდენობის ზრდა საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულ სასწავლო პროგრამებში.

სხვა ორგანიზაციებში/დაწესებულებებში შიდა არჩევნების

ჩატარების ხელშეწყობა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, ცესკომ და სწავლების ცენტრმა განახორციელეს საგანმანათლებლო რესურსცენტრების წარმომადგენლების გადამზადების პროექტი და ხელი შეუწყვეს 2016 წლის 10 ივნისს საქართველოს მასშტაბით, 2000-ზე მეტ საჭარო სკოლაში თვითმმართველობის უმაღლესი ორგანოს – სამეურვეო საბჭოს წევრთა არჩევნების ჩატარებას.

სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული სატრენინგო პროგრამა „საჭარო სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევნები და კენჭისყრის დღის პროცედურები“ გაიარა საგანმანათლებლო რესურსცენტრების 153-მა წარმომადგენელმა. საგანმანათლებლო რესურსცენტრებს გადაეცათ სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული საინფორმაციო-სასწავლო მასალა, მათ შორის, სკოლების სამეურვეო საბჭოების არჩევნების ჩატარებაზე პასუხისმგებელი საარჩევნო კომისიების წევრების სამახსოვრო ინსტრუქციები.

სასწავლო პროგრამები საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეებისთვის

2016 წელს ცესკოსა და სწავლების ცენტრის მიერ, საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეებისთვის განხორციელდა 9 სასწავლო პროგრამა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 895-მა პირმა. ინფორმაცია ტრენინგ-პროგრამების შესახებ იხილეთ ცხრილში (8).

ცხრილი 8

ტრენინგები საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეებისთვის

№	ტრენინგ-პროგრამის დასახელება	ტრენინგში მონაწილეთა რაოდენობა	პარტნიორი ორგანიზაცია
1	ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებისთვის	197	-
2	საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისა და ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების დამკვირვებლებისთვის	60	-
3	პოლიტიკური პარტიების პოტენციური კანდიდატებისა და საარჩევნო კომისიების პოტენციური წევრებისთვის	405	IRI
4		27	MDF
5	მედიის წარმომადგენლებისთვის	23	IFES
6		66	
7		48	-
8	საარჩევნო სუბიექტების იურისტებისთვის	50	IFES
9	პენიტენციური სისტემის თანამშრომლებისთვის	19	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასწავლო ცენტრი
სულ 895			

ტრენინგი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებისთვის

2016 წლის 6-13 აგვისტოს ცესკოს იურიდიული დეპარტამენტისა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა ჩატარეს ტრენინგი ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამხარეო აღმინისტრაციების წარმომადგენლებისთვის.

სატრენინგო პროგრამის მიზანი იყო მონაწილეთა ინფორმირება საარჩევნო პროცესში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა როლის, საკანონმდებლო სიახლეებისა და საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის აღმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვის შესახებ.

ტრენინგი ჩატარდა საქართველოს 7 ქალაქში¹⁹ და მასში მონაწილეობა მიიღო ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამხარეო აღმინისტრაციების 197-მა წარმომადგენელმა.

**ტრენინგი საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისა და
ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების დამკვირვებლებისთვის**

2016 წლის 13-15 სექტემბერს ცესკოს იურიდიული დეპარტამენტისა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა ჩატარეს ტრენინგები საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტების, საინიციატივო ჯგუფებისა და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის.

ტრენინგის მიზანი იყო არჩევნებში ჩართული მხარეების საარჩევნო პროცედურების შესახებ ინფორმირება და მათი ფუნქციების ეფექტუაციაზე განხორციელების ხელშეწყობა.

ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო საარჩევნო რეგისტრაციის მქონე 9 პარტიის, 3 საარჩევნო ბლოკის, 9 საინიციატივო ჯგუფისა და 15 ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის 60-მა წარმომადგენელმა.



**ტრენინგი პოლიტიკური პარტიების პოტენციური კანდიდატებისა და
საარჩევნო კომისიების პოტენციური წევრებისთვის**

იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ჩატარეს ტრენინგი პოლიტიკური პარტიების პოტენციური კანდიდატებისა და საარჩევნო კომისიების პოტენციური წევრებისთვის.

ტრენინგის მიზანი იყო პოლიტიკური გაერთიანებების წარმომადგენლების ინფორმირება საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის მაჟორიტარული საარჩევნო ოლქებისა და ძირითადი და დამხმარე საოლქო საარჩევნო კომისიების უფლებამოსილებების შესახებ.

ტრენინგები საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) პროგრამის ფარგლებში ჩატარდა და მონაწილეობა მიიღო 19 პოლიტიკური გაერთიანების 405-მა წარმომადგენელმა, მათ შორის ქალი – 201 და ვაცი – 204.

შეხვედრა საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებთან

ცესკოში გაიმართა შეხვედრა საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებთან. შეხვედრის მონაწილეებს ცესკოს თავმჯდომარემ ინფორმაცია მიაწოდა ამომრჩეველთა განახლებული სიის, რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტების, სადამკვირვებლო ორგანიზაციების, საარჩევნო პროცედურების და საარჩევნო პროცესის გასაუმჯობესებლად განხორციელებული აქტივობების და სიახლეების შესახებ. შეხვედრას ასევე დაესწრნენ საჭარო სამსახურის ბიუროს წარმომადგენლები და მონაწილეებს პარლამენტის წევრობის კანდიდატებისთვის თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების წარდგენის წესები და ვადები გააცნეს.

19 ტრენინგი ჩატარდა შემდეგ ქალაქებში: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, თელავი, სენაკი, ბოლნისი და ბორჯომი.



ტრენინგები მედიის წარმომადგენლებისთვის

2016 წლის 12-15 აგვისტოს ცესკოსა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა ჩაატარეს ოთხდღიანი ტრენინგი ტელეკომპანიების უურნალისტებისთვის. ტრენინგის მიზანი იყო მედიის წარმომადგენლების ინფორმირება კენჭისყრის დღის პროცედურების, საარჩევნო კანონმდებლობის სიახლეების, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ.

ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 10 ტელეკომპანიის 48 უურნალისტმა.

2016 წლის 3-4 სექტემბერს ცესკოსა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა გამართეს ტრენინგი სხვადასხვა ტელეკომპანიების უურნალისტებისთვის თემაზე „არჩევნების გაშუქება“. ტრენინგის მიზანი იყო უურნალისტების ინფორმირება კენჭისყრის დღის პროცედურებისა და საარჩევნო სისტემების საკითხების შესახებ. ტრენინგი არასამთავრობო ორგანიზაცია მედიის განვითარების ფონდის (MDF) ორგანიზებით ჩატარდა და მონაწილეობა მიიღო 27-მა უურნალისტმა.

2016 წლის 16-18 სექტემბერს ცესკოსა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა ჩაატარეს ტრენინგები რეგიონული მედიის უურნალისტებისთვის. ტრენინგების მიზანი იყო მედიის წარმომადგენელთა ინფორმირება საარჩევნო პროცესში მედიის როლის, საარჩევნო კანონმდებლობის სიახლეებისა და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის შესახებ. ტრენინგი საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს რეგიონული მედიის და რეგიონულ მაუნტებელთა ასოციაციებთან თანამშრომლობით ჩატარდა და მასში მედიის²⁰ 66-მა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა.

2016 წლის 24-25 სექტემბერს ცესკოსა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ექსპერტმა გამართეს ორდღიანი ტრენინგი ტელეკომპანიების, პრესისა და ინტერნეტ მედიის წარმომადგენლებისთვის საარჩევნო საკითხებზე. ტრენინგის მიზანი იყო მონაწილეთა ინფორმირება საარჩევნო პროცესში მედიის როლის, კენჭისყრის დღეს ფოტო/ვიდეო გადაღების რეგულაციების, არჩევნების გაშუქების ძირითადი სქემებისა და ამ მიმართულებით არსებული საერთაშორისო გამოცდილების შესახებ. ტრენინგი საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით ჩატარდა და მასში მონაწილეობა მიიღო ტელეკომპანიების, პრესისა და ინტერნეტ მედიის 23-მა წარმომადგენელმა.

20 ტრენინგები ჩატარდა შემდეგ ქალაქებში: თბილისი, ქუთაისი და ბათუმი. ტრენინგს ვახეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, სვანეთის, გურიის, სამეგრელოს და აჭარის რეგიონული მედიის (სატელევიზიო, ბეჭდური, ინტერნეტ და რადიო) უურნალისტები ესწრებოდნენ.

Ծրբեանցու Սահմանադրության պահպանի օրուակածարգիստը

2016 թվականի 26-27 սեպտեմբերի օրուակածարգիստը գործադրությունը համարվել է Տարածական կառուցանձնական պահպանի օրուակածարգիստը՝ ամենամեծ պահպանի օրուակածարգիստ Արևոտնական կառուցանձնական պահպանի օրուակածարգիստի վեհանձնությունում:

Ծրբեանցու պահպանի օրուակածարգիստը՝ առաջարկածարգիստը

2016 թվականի 27 սեպտեմբերի օրուակածարգիստը կազմակերպվել է Տարածական կառուցանձնական պահպանի օրուակածարգիստը՝ ամենամեծ պահպանի օրուակածարգիստը, որը կազմակերպվել է Արևոտնական պահպանի օրուակածարգիստի վեհանձնությունում:

Ծրբեանցու պահպանի օրուակածարգիստը կազմակերպվել է Տարածական պահպանի օրուակածարգիստի վեհանձնությունում:

Ծրբեանցու պահպանի օրուակածարգիստը՝ առաջարկածարգիստը

Տարածական պահպանի օրուակածարգիստը կազմակերպվել է Տարածական պահպանի օրուակածարգիստի վեհանձնությունում:

Տարածական պահպանի օրուակածարգիստը կազմակերպվել է Տարածական պահպանի օրուակածարգիստի վեհանձնությունում:

Տարածական պահպանի օրուակածարգիստը կազմակերպվել է Տարածական պահպանի օրուակածարգիստի վեհանձնությունում:

Տարածական պահպանի օրուակածարգիստը՝ առաջարկածարգիստը

Տարածական պահպանի օրուակածարգիստը կազմակերպվել է Տարածական պահպանի օրուակածարգիստի վեհանձնությունում:

Տարածական պահպանի օրուակածարգիստը կազմակերպվել է Տարածական պահպանի օրուակածարգիստի վեհանձնությունում:

Տարածական պահպանի օրուակածարգիստը կազմակերպվել է Տարածական պահպանի օրուակածարգիստի վեհանձնությունում:

ღია კარის დღეები ცესკოში

ცესკო რეგულარულად მართავს ღია კარის დღეებს და დაინტერესებულ პირებს აწვდის ინფორმაციას საარჩევნო ადმინისტრაციის, საარჩევნო პროცესის ორგანიზებისა და ცესკოს საქმიანობის შესახებ. პროგრამის ფარგლებში, მონაწილეები ხვდებიან ცესკოს თავმჯდომარესა და სხვა ხელმძღვანელ პირებს, ეცნობიან ცესკოს სტრუქტურული ერთეულებისა და სწავლების ცენტრის საქმიანობას, ასევე, ცესკოში არსებულ ფოტო გამოფენას „არჩევნების ისტორია საქართველოში“.

2016 წელს ცესკოში 4 ღია კარის დღე გაიმართა:

- 2016 წლის 22 იანვარს – იურიდიული კლინიკის, კერძოდ ივანე ჭავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის და კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის;
- 2016 წლის 4 თებერვალს – არჩევნების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, შავი ბლოკის უნივერსიტეტის საჭარო ადმინისტრირების და სახელმწიფო მმართველობის, სამართლის, ჟურნალისტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტების სტუდენტებისთვის;
- 2016 წლის 24 ივნისს – სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტებისთვის;
- 2016 წლის 26 აგვისტოს – პროექტის „საარჩევნო განვითარების სკოლა“ წარჩინებული კურსდამთავრებულებისთვის.



მიზანი 3: სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა

საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობის, საზოგადოების უკეთ ინფორმირებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის ანგარიშვალდებულების პრინციპის დამკვიდრებისთვის საარჩევნო ადმინისტრაცია მუდმივად ახორციელებს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფის პროექტებს. 2016 წელს საარჩევნო ადმინისტრაციამ ჩაატარა საგრანტო კონკურსები და განახორციელა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა. აქტიურად მუშაობდნენ ცესკოში მოქმედი სამუშაო ჰკუფები. მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის მონაწილეთა რაოდენობის გაზრდა.

საგრანტო კონკურსების ორგანიზება

სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ზრდის, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან პროაქტიული თანამშრომლობისა და საგრანტო კონკურსების ჩატარების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, ცესკომ ცვლილებები შეიტანა „გრანტის გაცემის წესში“. წესის შესაბამისად, სწავლების ცენტრის დირექტორის ბრძანებით, შეიქმნა საგრანტო საკონკურსო კომისია, რომელიც დავომპლექტდა შესაბამისი გამოცდილების მქონე აკადემიური სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებით. 2016 წელს სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა გამართეს 6 საინფორმაციო შეხვედრა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და გააცნეს ინფორმაცია „გრანტის გაცემის წესში“ შეტანილი ცვლილებების, საგრანტო განაცხადის განხილვის პროცედურებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენის წესის შესახებ.

პროცესის საჭაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად საგრანტო კონკურსებთან დაკავშირებული ინფორმაცია ეტაპობრივად ქვეყნდებოდა სწავლების ცენტრის ვებგვერდზე. ინფორმაცია 2016 წელს ჩატარებული საგრანტო კონკურსების შესახებ იხილეთ ცხრილში (9).

ქსერილი 9

2016 წელს ჩატარებული საგრანტო კონკურსები

კონკურსის გამოცხადების თარიღი	მიმართულება	დაფინანსებული ორგანიზაციების რაოდენობა	ბიუჯეტი (ლარი)
15.03.2016	პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა 2016 წლის ოქტომბერში გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის	8	837 035
04.04.2016	პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის	1	109 199
17.06.2016	ამომრჩეველთა ინფორმირება 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის	21	566 184
	მოწყვლადი ჭავჭავების და ქალების მონაწილეობის ხელშეწყობა 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნების პროცესში	20	570 087
		სულ 50	2 082 505

2016 წლის 15 მარტის და 4 აპრილის საგრანტო კონკურსების ორგანიზება

ცესკოს მიერ განსაზღვრული საგრანტო კონკურსების დაფინანსების მიმართულებების შესაბამისად, სწავლების ცენტრმა 2016 წლის 15 მარტს და 4 აპრილს გამოაცხადა და ორგანიზება გაუწია საგრანტო კონკურსებს მიმართულებაზე – პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა 2016 წლის ოქტომბერში გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის. საგრანტო საკონკურსო კომისიების გადაწყვეტილებების საფუძველზე, სწავლების ცენტრის მიერ დაფინანსდა 9 არასამთავრობო ორგანიზაციის პროექტი, დაფინანსების მოცულობამ შეადგინა კამში 946 234 ლარი. გამარტვებულმა ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ქვეყნის მასშტაბით²¹ უზრუნველყოფს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისთვის საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, რომლის მიზანი იყო მათი საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის.

პროექტების განხორციელების პროცესში კონტრიბუციის სახით სწავლების ცენტრმა უზრუნველყო პარტიების წარმომადგენლებისთვის შემდეგი მოდულების სწავლება: საარჩევნო ციკლი და საკანონმდებლო სიახლეები, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობა, კენჭისყრის დღის პროცედურები.

აღნიშნული საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს მასშტაბით 73 საარჩევნო ოლქში გაიარა 23 პოლიტიკური პარტიის (11 კვალიფიციური და 12 არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის) 1 431-მა წარმომადგენელმა.

2016 წლის 17 ივნისის საგრანტო კონკურსის ორგანიზება

2016 წლის 17 ივნისს სწავლების ცენტრმა გამოაცხადა და ორგანიზება გაუწია საგრანტო კონკურსს ცესკოს მიერ განსაზღვრულ საგრანტო კონკურსის დაფინანსების შემდეგ მიმართულებებზე:

პირველი მიმართულება: ამომრჩეველთა ინფორმირება 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის.

საგრანტო საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, სწავლების ცენტრის მიერ დაფინანსდა 21 პროექტი, დაფინანსების მოცულობამ შეადგინა 566 184 ლარი.

მეორე მიმართულება: მოწყვლადი ჯგუფების და ქალების მონაწილეობის ხელშეწყობა 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნების პროცესში:

პირველი თემატიკა: მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობის ხელშეწყობა 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნების პროცესში.

საგრანტო საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, სწავლების ცენტრის მიერ დაფინანსდა 14 პროექტი, დაფინანსების მოცულობამ შეადგინა 404 587 ლარი.

მეორე თემატიკა: ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა 2016 წლის 8 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნების პროცესში.

საგრანტო საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, სწავლების ცენტრის მიერ დაფინანსდა 6 პროექტი, დაფინანსების მოცულობამ შეადგინა 165 500 ლარი.²²

აღსანიშნავია, რომ 2016 წელს საგრანტო კონკურსებში გამარტვებულმა ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა განხორციელებული პროექტების შესახებ ანგარიში საჭაროდ წარადგინეს.

21 პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა განხორციელდა ქ. თბილისისა და შემდეგ რეგიონებში: შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, კახეთი, ქვემო ქართლი, იმერეთი, რაჭა-ლეჩეთი, სამცხე-ჯავახეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, აჭარა-გურია.

22 2016 წლის 17 ივნისის საგრანტო კონკურსის შედეგები იხილეთ ბმულზე:

<http://electionreforms.ge/geo/list/show/1553-2016-tslis-17-ivniss-gamotskhadebuli-sagranto-konkursi>

პოლიტიკური პარტიების საბიუჟეტო დაფინანსების უზრუნველყოფა

პოლიტიკური პარტიების განვითარებისა და ჭანსაღი, კონკურენტული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საფუძველზე ცესკომ და სწავლების ცენტრმა 2016 წლის პერიოდში უზრუნველყო პოლიტიკური პარტიების დაფინანსება, მათ მიერ კვლევების, სწავლების, კონფერენციების, მივლინებების, რეგიონული პროექტების, ამომრჩეველთა სამოქალაქო და საარჩევნო განათლების პროექტების განხორციელებისთვის. ინფორმაცია საარჩევნო სუბიექტების დაფინანსების შესახებ იხილეთ ცხრილში (10).

ცხრილი 10

ინფორმაცია მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიების) დაფინანსების შესახებ

№	მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება	დაფინანსება ცესკომ	დაფინანსება სწავლების ცენტრი
1	ეროვნული ფორუმი	595 092	78 908
2	საქართველოს კონსერვატიული პარტია	595 092	78 908
3	სხვა საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია	598 693	236 724
4	თავისუფალი დემოკრატები	627 248	90 473
5	საქართველოს რესპუბლიკური პარტია	595 092	78 908
6	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს	630 092	78 908
7	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	2 052 943	473 452
8	გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა	997 032	473 452
9	საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	438 572	236 724
10	საქართველოს ლეიბორისტული პარტია	384 906	236 724
11	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	918 540	111 258
12	ევროპული საქართველო	104 502	20 785
13	მოძრაობა-სახელმწიფო ხალხისთვის	22 810	10 393
14	დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო	28 189	10 393
15	სამოქალაქო პლატფორმა-ახალი საქართველო	22 810	10 393
16	თავისუფალი საქართველო	10 153	3 464
17	საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა	10 153	3 464
18	თავისუფლება	10 153	3 464
19	ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი	10 153	3 464
20	ახალი ქრისტიან-დემოკრატები	10 153	3 464

ულ 8 662 378 2 243 723

ცესკოში მოქმედი სამუშაო ჯგუფები/საბჭო

ტექნიკური სამუშაო ჯგუფი (TWG)

საარჩევნო პროცესში ჩართულ მხარეებს შორის საქმიანობის საჭაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამასთან თანამშრომლობით, ცესკოში ფუნქციონირებს ტექნიკური სამუშაო ჯგუფი. ჯგუფის შემადგენლობაში შედიან საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. 2016 წელს ცესკოში გაიმართა ტექნიკური სამუშაო ჯგუფის 7 შეხვედრა, სადაც ჯგუფის წევრებმა არჩევნების კუთხით განხორციელებული პროექტები და საქმიანობა განიხილეს.

სამუშაო ჯგუფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე

ცესკოში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თანაბარი საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში არიან ცესკოს წევრები, სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები.

2016 წელს გაიმართა სამუშაო ჯგუფის 6 შეხვედრა შემდეგ თემებზე: უსინათლო ამომრჩევლებისთვის ცესკოს ადაპტირებული ვებგვერდისა და ამომრჩეველთა ერთიანი სიის (voters.cec.gov.ge) ხელმისაწვდომობა, ყრუ ამომრჩევლებისთვის ხელმისაწვდომი საარჩევნო გარემო და სერვისები, საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განხორციელებული ცვლილებები, 2016 წლის საქმიანობის შეჯამება და საარჩევნო ადმინისტრაციის 2017 წლის სამოქმედო გეგმის პროექტის გაცნობა.



სამუშაო ჯგუფი ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე

ცესკოში, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა თანაბარი საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის მიზნით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან ცესკოს წევრები, სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები. 2016 წელს გაიმართა სამუშაო ჯგუფის 3 შეხვედრა შემდეგ თემებზე: საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განხორციელებული ცვლილებები, 2016 წლის საქმიანობის შეჯამება და საარჩევნო ადმინისტრაციის 2017 წლის სამოქმედო გეგმის პროექტის გაცნობა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ჯგუფების კოორდინირებულ საქმიანობას ახორციელებს ცესკოს კოორდინაციის, დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი.



გენდერული თანასწორობის საბჭო

ცესკოში, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით, შექმნილია გენდერული თანასწორობის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან საარჩევნო აღმინისტრაციის წევრები, სტრუქტურული ერთეულებისა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლები. საბჭოს ხელმძღვანელობს კომისიის წევრი ზურაბ ხრიკაძე. 2016 წელს გაიმართა 2 შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შემდეგ თემებზე: ცესკოს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დოკუმენტის გაცნობა და საარჩევნო აღმინისტრაციის 2017 წლის სამოქმედო გეგმის პროექტის განხილვა.



შეხვედრები ჩართულ მხარეებთან

2016 წელს, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისა და არჩევნების პროცესიულ დონეზე ადმინისტრირების მიზნით ცესკომ გამართა 30 შეხვედრა²³. შეხვედრების თემები იყო – ძირითადი და დამხმარე საოლქო საარჩევნო კომისიების ფუნქციები, მაჟორიტარული ოლქების საზღვრები და ელექტრონული რუკა, არჩევნების სანდოობის რისკების მართვის გეგმა, ამომრჩევლებისთვის შეთავაზებული ახალი სერვისები. შეხვედრები გაიმართა საარჩევნო პროცესებში ჩართულ მხარეებთან: სახელმწიფო ინსტიტუციები, პოლიტიკური პარტიები, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, მედიის წარმომადგენლები, საერთაშორისო ორგანიზაციები, დიპლომატიური კორპუსი.



23 დეტალური ინფორმაცია საარჩევნო პროცესში ჩართულ მხარეებთან შეხვედრების შესახებ იხილეთ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების ანგარიშში.



პრიორიტეტი

საარჩევნო განეათ

მიზანი 1: სამართლებრივი ჩარჩოს განვითარება

მონაცილეობა

საარჩევნო ადმინისტრაცია აქტიურად მონაწილეობს საარჩევნო გარემოს სამართლებრივი ჩარჩოს დახვენის პროცესში.

2016 წელს, ცესკომ მოამზადა საკანონმდებლო ცვლილებები, ტრენინგ-პროგრამები საკანონმდებლო საკითხებზე და საარჩევნო დავებზე. მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ მომზადებული საკანონმდებლო წინადადებების გათვალისწინება საქართველოს პარლამენტის მიერ.

საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება

საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისა და საკანონმდებლო ჩარჩოს დახვენის მიზნით, ასევე საარჩევნო კოდექსით განსაზღვრულ ნორმებში გამოვლენილ ხარვეზებთან დაკავშირებით საარჩევნო ადმინისტრაციამ შეადგინა და საქართველოს პარლამენტს გაუგზავნა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 54 პუნქტიანი საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების დოკუმენტი. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტმა ცესკოს მიერ წარდგენილი რეკომენდაციების უმეტესობა გაითვალისწინა. აღნიშნული ცვლილების განხორციელების შედეგად გამარტივდა კენჭისყრის პროცედურები, აღმოიფხვრა ნორმათა კოლიზია კანონმდებლობაში, დაიხვენა და დაზუსტდა საარჩევნო პროცედურები: კენჭისყრის დღის პროცედურები, კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე წესრიგის დაცვის ნორმები, გამონაკლის შემთხვევაში საარჩევნო უბნების შექმნის საკითხები და სხვა.

საკანონმდებლო საკითხებზე, საარჩევნო დავებზე ტრენინგ-პროგრამების უზრუნველყოფა საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე

იურიდიულმა დეპარტამენტმა სწავლების ცენტრთან ერთად შეიმუშავა საკანონმდებლო საკითხებზე და საარჩევნო დავებზე სპეციალური ტრენინგ – პროგრამა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის. დეპარტამენტის წარმომადგენლებმა სამუშაო შეხვედრები გამართეს საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებთან, კომისიების იურისტებთან და კოორდინატორებთან. შეხვედრების ფარგლებში, მონაწილეებს ჩაუტარდა ტრენინგი საჩივრების რეესტრის წარმოების პროცესის გაუმჯობესებისთვის. ჩატარდა 4 სამუშაო შეხვედრა და მონაწილეობა მიიღო 160-მა პირმა.

ცესკოს საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა

იურიდიული დეპარტამენტი რეგულარულად უწევდა იურიდიულ კონსულტაციას ცესკოს აპარატისა და სწავლების ცენტრის თანამშრომლებს, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს, ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებლებს და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს. ასევე, კონსულტაცია და სამართლებრივი დახმარება გაეწია საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს განცხადება/საჩივრებთან დაკავშირებით. იურიდიული დეპარტამენტი ამზადებდა და სამართლებრივ ექსპერტიზას უტარებდა ცესკოს სამართლებრივ აქტებს.

2016 წელს ცესკომ გამართა 97 სხდომა და გამოსცა 2 053 სამართლებრივი აქტი, მათ შორის:

75 ცესკოს დადგენილება

227 თავმჯდომარის განკარგულება

561 ცესკოს განკარგულება

1 190 მდივნის განკარგულება

ცესკოში გამართული სხდომების ოქმების შედგენა, ცესკოს თავმჯდომარისა და ცესკოს მდივნის განკარგულებების პროექტების მომზადება, შესაბამისი დოკუმენტების გაფორმება და გამოქვეყნება უზრუნველყო სარეგისტრაციო და აღმინისტრაციულმა დეპარტამენტმა.

სასამართლო პროცესებში მონაწილეობა

2016 წელს, იურიდიული დეპარტამენტის თანამშრომლების მონაწილეობით, გაიმართა 61 სასამართლო პროცესი. ცესკოს ინტერესებს იურიდიული დეპარტამენტის თანამშრომლები წარმოადგენდნენ როგორც მოპასუხეები – 59 სამართალწარმოების საქმეზე, ხოლო როგორც აპელანტები – 2 საქმეზე. 8 გონიერებული საქმებიდან ცესკოს სასამართლოდ დასრულდა – 54, ხოლო საწინააღმდეგოდ – 5 პროცესი. სასამართლომ სარჩელი წარმოებაში არ მიიღო – 1, დავის არარსებობის გამო შეწყდა – 1 საქმე.

ცესკოს თავმჯდომარის მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გამო შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 3 ოქმი, რომლებიც თანდართულ საქმისწარმოების მასალებთან ერთად შემდგომი გადაწყვეტილების მიღების მიზნით გადაგზავნილ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოში. აქედან, ერთ შემთხვევაში სასამართლოს მიერ დაჭარიმდა მხარე, ხოლო ორ შემთხვევაში მხარე ასევე ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და მიეცა გაფრთხილება.

2016 წელს იურიდიული დეპარტამენტის მიერ დამუშავდა კენჭისყრის დღეს საოლქო საარჩევნო კომისიებში შესული განცხადება/საჩივრები და მომზადდა სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც განთავსდა ცესკოს ვებგვერდზე.²⁴

2016 წელს გაიმართა 61 სასამართლო პროცესი

54	საქმე ცესკოს სასამართლოდ	5	საქმე ცესკოს საწინააღმდეგოდ
1	საქმე შეწყდა	1	სარჩელი არ მიიღო სასამართლომ

24 ინფორმაცია 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში კენჭისყრის დღესთან დაკავშირებული განცხადება/საჩივრების შესახებ ინფორმაცია იხილეთ ბმულზე
[http://cesko.ge/res/docs/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%99%E1%83%90-%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D.pdf](http://cesko.ge/res/docs/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90-%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D.pdf)

მიზანი 2: არჩევნების მთლიანობის (INTEGRITY) უზრუნველყოფა

არჩევნების სანდოობისა და მთლიანობის უზრუნველყოფის მიზნით საარჩევნო აღმინისტრაციამ, 2016 წელს, შექმნა არჩევნების სანდოობის რისკების მართვის გეგმა.

აღნიშნული გეგმის საფუძველზე, ცესკოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებდა ერთობლივი ღონისძიებების გატარებას არჩევნების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა კენჭისყრის პროცესის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ახალი მიდგომის დანერგვა და ინსტიტუციონალიზაცია.

არჩევნების სანდოობის რისკების მართვის გეგმა

ცესკოს თავმჯდომარის ინიციატივით შეიქმნა არჩევნების სანდოობის რისკების მართვის გეგმის მომზადებაზე, მისი განხორციელების პროცესის კოორდინაციასა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჰგუფი, რომელსაც ცესკოს თავმჯდომარის მრჩეველი ხელმძღვანელობდა. სამუშაო ჰგუფმა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) და საერთაშორისო ექსპერტებთან თანამშრომლობით, შეიმუშავა არჩევნების სანდოობის რისკების მართვის გეგმა (Integrity Management Plan), რომელიც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან განხილვის შემდეგ ცესკომ 2016 წლის 20 მაისს დაამტკიცა.²⁵

გეგმა მოიცავს შემდეგ პრიორიტეტებს: საზღვრების დაყოფა, საარჩევნო დავები, ხმების დათვლა, არჩევნების უსაფრთხოება და ინფრასტრუქტურა. ცესკო იღებს ვალდებულებას მისი პასუხისმგებლობის და კომპეტენციის ფარგლებში მართოს ქვეყანაში დემოკრატიული არჩევნების სანდოობა იმ მიდგომების და მეთოდების საფუძველზე, რომლებიც წარმოდგენილია არჩევნების სანდოობის რისკების მართვის გეგმაში.

აღნიშნული გეგმის საფუძველზე, ცესკოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, მოხდა კენჭისყრის პროცესის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ახალი მიდგომის დანერგვა და ინსტიტუციონალიზაცია. ამ მიზნით საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ექსპერტის რეკომენდაციისა და საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებით, სწავლების ცენტრმა შეიმუშავა ინოვაციური სასწავლო მოდულები – „კონფლიქტების მართვა“ და „არჩევნების უსაფრთხოება“. მოდულები ინტეგრირებული იყო საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების სასწავლო პროგრამაში. განხორციელებულმა საქმიანობამ საარჩევნო აღმინისტრაციას საშუალება მისცა საარჩევნო პროცესი მშვიდ გარემოში წარემართა.

25 არჩევნების სანდოობის რისკების მართვის გეგმა დამტკიცებულია ცესკოს 2016 წლის 20 მაისის N220/2016 განვარგულებით.

მიზანი 3: ინკლუზიური საარჩევნო

გარემოს უზრუნველყოფა

საარჩევნო ადმინისტრაციის ერთეულთი სტრატეგიული მიზანია ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა.

2016 წელს, საარჩევნო ადმინისტრაციის კოორდინირებული საქმიანობის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ადაპტირებული საარჩევნო უბნების რაოდენობა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ამომრჩევლებისთვის განავითარა ხელმისაწვდომი სერვისები, განახორციელა ინფორმირებისა და დასაქმების პროგრამები, ჩაატარა სხვადასხვა სახის ტრენინგები.

მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა უსინათლო ამომრჩევლებისთვის საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმის შექმნა.

ცესკო საერთაშორისო საარჩევნო ჭილდოს მფლობელი გახდა!

2016 წელს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია, საპარლამენტო სწავლებების საერთაშორისო ცენტრის (ICPS) მიერ ორგანიზებულ დაჭილდოებაზე, ჟიურის გადაწყვეტილებით, საერთაშორისო საარჩევნო ჭილდოს მფლობელი გახდა ნომინაციაში „უმცირესობების ჩართულობა“ და ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის კუთხით ლიდერ ინსტიტუციად დასახელდა.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო საარჩევნო ჭილდოს მფლობელი საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია წელს უკვე მესამედ გახდა. პირველი ჭილდო ცესკოს სწავლების ცენტრმა ნომინაციაში „პირველი ამომრჩეველი“ 2013 წელს მოიპოვა, მეორე ჭილდო საარჩევნო ადმინისტრაციამ 2015 წელს მიიღო ნომინაციაში „არჩევნების მართვა“ და მესამე – ნომინაციაში „უმცირესობების ჩართულობა“ 2016 წელს მოიპოვა.

WINNER
Minority Participation
Central Election Committee
of Georgia

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველი

ადაპტირებული საარჩევნო უბნები

2016 წელს ცესკომ კოორდინაცია გაუნია საარჩევნო უბნების ადაპტაციის პროცესს, კერძოდ, საარჩევნო ადმინისტრაციის ინიციატივით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტთან (მერია), საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში ცესკომ უზრუნველყო აღნიშნული უწყებებიდან სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ადაპტირებული შენობა-ნაგებობების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა, ყველა საარჩევნო ოლქის საზღვრებში არსებული ადაპტირებული უბნების შესახებ ინფორმაციის გადამოწმება და დაზუსტება. საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ ხელმისაწვდომი საარჩევნო უბნების რაოდენობის დადგენის დროს განისაზღვრა საარჩევნო უბნის მდგომარეობის სტატუსი – მარტივი ადაპტაცია ან პანდუსი. ხელმისაწვდომი უბნების შესახებ ინფორმაცია განთავსდა ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე ბანერში „საარჩევნო რუკა“.

აღსანიშნავია, რომ ერთობლივი საქმიანობის შედეგად, საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 73 საარჩევნო ოლქში შემავალი 3 634 საარჩევნო უბნიდან, ფიზიკური შეზღუდვის მქონე ამომრჩევლებისთვის ხელმისაწვდომი იყო 1 115 (30.68%) საარჩევნო უბანი, მათ შორის ქალაქ თბილისში ხელმისაწვდომი იყო 271 საარჩევნო უბანი, ხოლო რეგიონებში 844 უბანი. ადაპტირებული უბნების რაოდენობამ 2015 წლის მაჩვენებელთან შედარებით მოიმატა 26%-ით.

შშმ პირთათვის ხელმისაწვდომი სერვისები

საარჩევნო ადმინისტრაციამ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შესთავაზა შემდეგი სერვისები:

- მცირემხედველი ამომრჩევლებისთვის – ყველა საარჩევნო უბანზე წინა არჩევნებზე არსებული 1 ლინგის ნაცვლად, განთავსებული იყო 2 გამადიდებელი ლინგა;
- უსინათლო ამომრჩევლებისთვის – ყველა საარჩევნო უბანზე იყო საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმა;
- ფიზიკური შეზღუდვის მქონე ამომრჩევლებისთვის – ხელმისაწვდომ 1 115 საარჩევნო უბანზე განთავსებული იყო სპეციალური ხმის მიცემის კაბინა და 13 საარჩევნო უბანზე განთავსებული იყო პორტატული (მოძრავი) პანდუსი;
- ყრუ ამომრჩევლებისთვის – ყველა საარჩევნო უბანზე გამოკრული იყო ხმის მიცემის პროცედურების ამსახველი პოსტერი და იმ საარჩევნო უბნებზე, სადაც განთავსებული იყო პორტატული კომპიუტერები ხელმისაწვდომი იყო კენჭისყრაში მონაწილეობის შესახებ ვიდეოროგოლი სურდოთარგმანის (ჟესტური ენა) თანხლებით.



უსინათლო ამომრჩევლებისთვის საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმა

საქართველოში მცხოვრები უსინათლო ამომრჩევლების არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობისა და მათი ხმის უფლების უზრუნველყოფის მიზნით, საერთაშორისო „კარგი პრაქტიკის“ შესწავლისა და უსინათლო პირთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ცესკომ შეიმუშავა საარჩევნო ბიულეტენის სტანდარტი და დაამზადა საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმა, რომელიც უნიკალურია, ვინაიდან მისი გამოყენებით უსინათლო ამომრჩევლებს ყველა ტიპის არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის საშუალება მიეცათ.

ჩარჩო/ფორმის გამოყენების შესახებ უსინათლო ამომრჩეველის ინფორმირებისთვის, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციასთან „საქართველოს უსინათლოთა კავშირი“ თანამშრომლობით, გაიმართა შეხვედრები ფონიჭალის უსინათლოთა კავშირის ფილიალში და ქობულეთის რაიონის სოფელ ციხისძირში, სადაც მოეწყო იმიტირებული კენჭისყრა და საცდელად გამოყენებულ იქნა ჩარჩო/ფორმა.

ყრუ ამომრჩეველთა ინფორმირება

ცესკოს მიერ დამზადებული ყველა საინფორმაციო ვიდეო რგოლი საქართველოს ყველა ტელევიზიის ეთერში განთავსებული იყო სურდოთარგმანის (ჟესტური ენა) თანხლებით.

აღსანიშნავია, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია არის საქართველოში პირველი ინსტიტუცია, რომელმაც დანერგა და უზრუნველყო საინფორმაციო ბრიფინგების პირდაპირ ეთერში სურდოთარგმანის თანხლებით გაშუქება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმება

2016 წელს საარჩევნო ადმინისტრაციამ სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრში 4 შემ პირის დაასაქმა. აღსანიშნავია, რომ დასაქმებულთა შორის იყო ერთი უსინათლო, რომლისთვისაც შექმნილი იყო ყველა პირობა რათა დამოუკიდებლად განეხორციელებინა თავისი საქმიანობა. დასაქმების პარალელურად ცესკომ უზრუნველყო შემ პირების კვალიფიკაციის ამაღლება და მათი შესაძლებლობების განვითარება. ცესკომი 2012-2016 წლებში დასაქმებულ შემ პირთა სტატისტიკა იხილეთ ცხრილში (11).

შეჩიტი 11

წელი	არჩევნების დასახელება	რაოდენობა
2012	საპარლამენტო არჩევნები	2
2013	საპრეზიდენტო არჩევნები	3
2014	თვითმმართველობის არჩევნები	4
2015	საკრებულოს და პარლამენტის შუალედური არჩევნები	2
2016	საპარლამენტო არჩევნები	4

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩეველი

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა ინფორმირება

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა ინფორმირების მიზნით, ცესკოს მიერ დამზადებული ყველა საინფორმაციო-სარეკლამო ვიდეო რგოლი, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის, ისე რეგიონული ტელევიზიების ეთერში განთავსებული იყო სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. აგრეთვე საინფორმაციო მასალა განთავსებული იყო სომხურენოვან გაზეთში „ვრასტანი“ და აზერბაიჯანულენოვან გაზეთში „გურჯისტანი“.

საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის, ცესკოს ინიციატივით, ცესკოსა და სწავლების ცენტრის თანამშრომლობით, პირველად 13 საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების მონაწილეობით ჩატარდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანია, რომლის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების 53 სოფელში.²⁶

ასევე, ცესკოსა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა 2 საინფორმაციო შეხვედრა გამართეს გარდაბნის რაიონის სოფლებში მუღანლოსა და კალინინოში.

26 შეხვედრები გაიმართა შემდეგ რაიონებსა და სოფლებში: საგარეჯოს რაიონი – დუბაგრამა, ქეშალო, თულარი, ლაგოდეხის რაიონი – კაბალი, უზუნთალა. ახმეტის რაიონი – ყარაგალა. გარდაბნის რაიონი – ნაზარლო, ქესალო, კალინინო, ბირლიკი. მარნეულის რაიონი – ყიბილაკლო, ალგეთი, შაუმიანი. ბოლნისის რაიონი – ტალავერი, ნახიფური, ბოლნისი, ქვ. ბოლნისი, დარბაზი, კიანეთი. დმანისის რაიონი – ზემო ვარაბულახი, ამამლო, კიბილქილისა. წალკის რაიონი – ნარდევანი, აიაზმა, კუში, არსარვანი, ჩოლიანი, თეჭისი, ხაჩული, კაბური, ჩივთქილისა. თეთრინყაროს რაიონი – დურუუკი, დაღეთი, სამშვილდე, შიხილო, აღთაკლია, ყარათავლია. ბორჯომის რაიონი – კოჩიო, ალათუმანი, ბეჟანო. ახალციხის რაიონი – აბათხევი, წირა, წყურუთი, პატარა, პამაჭი, ორალი, ყულალისა, საძელი. ახალქალაქის რაიონი – ახალქალაქი, გულივამი, დილისკა.



საარჩევნო დოკუმენტაციის მომზადება და თარგმნა

საარჩევნო აღმინისტრაციის მიერ 2016 წელს ჩატარებული ყველა არჩევნების დროს სომხურნოვანი და აზერბაიჯანულენოვანი ამომრჩევლებისთვის ითარგმნა და დაიბეჭდა საარჩევნო ბიულეტენი, ამომრჩეველთა სამახსოვრო, ბიულეტენის შევსების წესი, ამომრჩეველთა ერთიანი სია, ასევე საუბნო საარჩევნო კომისიაში კედელზე გასაკრავი ხმის მიცემის პროცედურების ამსახველი პოსტერი. ხოლო, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმნა და დაიბეჭდა სასწავლო მასალა.

მიზანი 4: გენდერული ღაბაღასების განვითარება

საარჩევნო ადმინისტრაცია თავის საქმიანობას წარმართავს გენდერული თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით.

2016 წელს, საარჩევნო ადმინისტრაციამ შეიმუშავა გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დოკუმენტი, ჩაატარა ტრენინგები და განახორციელა საარჩევნო ინფორმაციის დამუშავება გენდერულ ჭრილში.

მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა საარჩევნო ინფორმაციის დამუშავება გენდერული შემადგენლობის მიხედვით და გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა.

საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის

პოლიტიკის დოკუმენტი

ცესკომ დაამტკიცა საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დოკუმენტი²⁷, რომლის მიზნებს წარმოადგენს:

1. საარჩევნო ადმინისტრაციის ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერება გენდერული უთანასწორობის პრევენციისა და საარჩევნო პროცესში ქალთა მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობისთვის.
2. ინსტიტუციური პრაქტიკისა და პოლიტიკის დანერგვა გენდერული თანასწორობის მიღწევისა და სამუშაო ადგილებზე ქალების გაძლიერებისთვის.
3. პროგრამების შემუშავება და მათში დაინტერესებული მხარეების ჩართვა საარჩევნო პროცესში გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად და ქალთა გასაძლიერებლად.

აღნიშნული სტრატეგიის განხორციელებით ცესკო ასრულებს აღებულ ვალდებულებას, სტრატეგიულ დონეზე ხელი შეუწყოს არჩევნებში ქალებისა და კაცების თანაბარ მონაწილეობას.

დოკუმენტი შემუშავდა ცესკოს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭოს მიერ საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ექსპერტთან თანამშრომლობით.

გენდერული თანასწორობის საკითხის გათვალისწინება

საგრანტო კონკურსების ორგანიზებისას

საგრანტო კონკურსების ორგანიზებისას ცესკო ითვალისწინებს გენდერული თანასწორობის ასპექტებს. 2014-2016 წლებში, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიმართულებით დაფინანსებული პროექტების რაოდენობა იხილეთ ცხრილში (12).

შეჩიტი 12

წელი (ლარი)	პროექტების რაოდენობა	ბიუჯეტი
2014	9	429 754
2015	5	242 900
2016	6	165 500

27 საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დოკუმენტი დამტკიცებულია ცესკოს 2016 წლის 1 სექტემბერს N388/2016 განკარგულებით. დოკუმენტი იხილეთ ბმულზე: <http://cesko.ge/res/docs/GenderEquality-Web.pdf>.



პოტენციური კანდიდატი ქალების ტრენინგი საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით

პოლიტიკური პარტიების ლიდერ ქალთა პროგრამის ფარგლებში, ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მინვევით, სწავლების ცენტრმა ჩაატარა ტრენინგი თემაზე „არჩევნებში კანდიდატთა რეგისტრაციის წესი და პირობები“. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 8 პოლიტიკური პარტიის 46-მა ქალმა წარმომადგენელმა.

საარჩევნო პროცესში ქალთა მონაწილეობის გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით, სწავლების ცენტრმა ცესკოსა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან პარტნიორობით, განახორციელა სასწავლო პროგრამა საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მსურველი პოტენციური კანდიდატი ქალებისთვის. პროგრამის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა და საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილმა 53-მა პოტენციურმა კანდიდატმა ქალმა.

გამოცდილების გაზიარება გენდერული თანასწორობის საკითხებში

იორდანიაში, არაპეტის საარჩევნო ადმინისტრაციების ორგანიზაციისა და გაეროს განვითარების პროგრამის რეგიონული წარმომადგენლობის ორგანიზებით, გაიმართა სამუშაო შეხვედრა არჩევნებში ქალთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად საარჩევნო ადმინისტრაციების როლის შესახებ. შეხვედრაში, ასევე, მიიღეს მონაწილეობა ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიისა და გაეროს განვითარების პროგრამის ექსპერტებმა. სამუშაო შეხვედრის თემა იყო – „შუა აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში რეგიონული არჩევნების ხელშეწყობა და წარმატებული გამოცდილებისა და არსებული საჭიროებების განხილვა და საარჩევნო ადმინისტრაციების მიერ პრაქტიკაში დანერგვის პერსპექტივები. ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ, შეხვედრის მონაწილეებს გაუზიარა საქართველოს გამოცდილება გენდერული თანასაწორობის საკითხებში და გააცნო ცესკოს სტრატეგია ამ სფეროში“.

საარჩევნო ინფორმაციის დამუშავება გენდერული შემადგენლობის მიხედვით

ცესკოში რეგულარულად მუშავდება სტატისტიკური ინფორმაცია გენდერული ასპექტის გათვალისწინებით და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

2016 წელს ცესკოს განახლებულ ვებგვერდზე (www.cesko.ge) შეიქმნა ბანერი „გენდერული ბალანსი“, სადაც განთავსდა 2014-2016 წლებში ჩატარებული ყველა არჩევნებისთვის გენდერულ ჭრილში (ქალი/კაცი) დამუშავებული ინფორმაცია.²⁸ ხელმისაწვდომია შემდეგი ინფორმაცია:

- ამომრჩეველთა ერთიან სიაში რეგისტრირებული პირები, აქტივობა სიიდან, არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლები, პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემების საფუძველზე წარდგენილი კანდიდატები, დამკვირვებლები, მედია და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები, საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობა.

28 საარჩევნო ინფორმაცია გენდერულ ჭრილში იხილეთ ბმულზე: <http://cesko.ge/statistic/>.

მიზანი 5: საარჩევნო ოღაზებისა და უპირატყობის საზოგადოების განვითარების მიზანი

საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებამ დღის წესრიგში დააყენა საარჩევნო ოღაზების ახალი საზღვრების დადგენის აუცილებლობა.

საარჩევნო ადმინისტრაციამ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის, მოამზადა, ჩართულ მხარეებთან წინასწარი განხილვების შემდეგ დაამტკიცა ქალაქ თბილისის, რუსთავის, ქუთაისის და ბათუმის მუნიციპალიტეტებში შემავალი 30 მაჟორიტარული ოღაზის საზღვრები. საარჩევნო პერიოდში, კანონის შესაბამისად დაზუსტდა საარჩევნო უბნების საზღვრები.

მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა საარჩევნო ოღაზების ამომრჩეველთა ხმის თანაბრობის პრინციპზე დაფუძნებული საზღვრების დადგენა.



მაჟორიტარული საარჩევნო ოღაზების შექმნა საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის, საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტმა საოლქო საარჩევნო კომისიებთან ერთად მოამზადა და ცესკომ დაამტკიცა ქალაქ თბილისის, რუსთავის, ქუთაისის და ბათუმის მუნიციპალიტეტებში შესაქმნელი 30 მაჟორიტარული ოღაზის საზღვრები. ცესკომ უზრუნველყო საზღვრების დელიმიტაციის პროცესის საჭაროობა და წინასწარი საკონსულტაციო შეხვედრები ჩაატარა პოლიტიკურ პარტიებთან და სხვა ჩართულ მხარეებთან.

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გამო ცესკოს თავმჯდომარემ საზღვრების დელიმიტაციის ვრიტერიუმების, ოღაზების მიხედვით ამომრჩეველთა რაოდენობის, მანდატების კოეფიციენტის და ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რაიონების მაჟორიტარული ოღაზების საზღვრების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური



მისიების, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს და ცესკოში შექმნილი ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის წევრებს.

მაჟორიტარული ოლქების ახალი საზღვრები დადგინდა საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შეტანილი ცვლილებების თანახმად. აღნიშნული ცვლილებები განხორციელდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების და ამომრჩეველთა ხმების თანაბრობის პრინციპის საფუძველზე.

პარლამენტის არჩევნებისთვის ძირითადი და დამხმარე ოლქები

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის საზღვრების განსაზღვრის შედეგად 53-მა საოლქო საარჩევნო კომისიამ სრულად, ხოლო 20-მა საოლქო საარჩევნო კომისიამ ნაწილობრივ განახორციელა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 21-ე მუხლით დადგენილი უფლებამოსილება. საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტმა მოამზადა და ჩართულ მხარეებს წარუდგინა ძირითადი და დამხმარე საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის აღმნერი ინსტრუქცია²⁹, რომელიც მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

- საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები;
- საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საარჩევნო უბნების შექმნა, საუბნო საარჩევნო კომისიების წერტილია;
- საინიციატივო ჯგუფების/ მაჟორიტარი კანდიდატების რეგისტრაცია;
- საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების, დამკვირვებლების რეგისტრაცია, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლების აკრედიტაცია;
- წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩასატარებლად გამოყოფილი შენობა-ნაგებობები და სააგიტაციო მასალის განთავსების ადგილები;
- განცხადება/საჩივრები;

29 ძირითადი და დამხმარე საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ განსახორციელებელი ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის აღმნერი ინსტრუქცია დამტკიცებულია ცესკოს №30/2016 დადგენილებით.

- ამომრჩეველთა სიების გაცემა და ამომრჩეველთა შესახებ მონაცემებში/ამომრჩეველთა სიებში ცვლილებების შეტანა;
- ამომრჩეველთა გადასატანი საარჩევნო ყუთის სია;
- ამომრჩეველთა სპეციალური სია;
- საარჩევნო ბიულეტენი/ბიულეტენები;
- კენჭისყრის ჩანაწერთა წიგნი;
- საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების მიღება/ კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შეჯამება;
- საჭარო ინფორმაციის გაცემა;
- საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების ტრენინგები;
- შრომის ანაზღაურება და დამხმარე პერსონალი;
- დამხმარე საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მისაღები სამართლებრივი აქტები.

ამომრჩეველთა ერთიანი სია

საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტმა, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 31-ე მუხლის შესაბამისად, დაამუშავა იუსტიციის სამინისტროს სერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სასკელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, საქართველოს სამსახურისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის, საქართველოს სასკელალსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჭანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გადმოცემული მონაცემები. 2016 წელს ამომრჩეველთა ერთიანი სია 4-ჯერ განახლდა.



ამომრჩეველთა რაოდენობა ამომრჩეველთა ერთიან სიაში

1 თებერვლის მდგომარეობით – 3 438 789 ამომრჩეველი, მათ შორის ქალი – 1 849 528 (53.8%), კაცი – 1 589 261 (46.2%);

1 მაისის მდგომარეობით – 3 473 316 ამომრჩეველი, მათ შორის ქალი – 1 866 954 (53.8%), კაცი – 1 606 362 (46.2%).

15 ივლისის მდგომარეობით – 3 452 093 ამომრჩეველი, მათ შორის ქალი – 1 856 448 (53.8%), კაცი – 1 595 645 (46.2%).

1 ნოემბრის მდგომარეობით – 3 472 137 ამომრჩეველი, მათ შორის ქალი – 1 866 766 (53.8%), კაცი – 1 605 371 (46.2%).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის ამომრჩევლის ხმის უფლების უზრუნველყოფის მიზნით, ცესკომ დაადგინა ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების დამატებითი წესი, რომლის თანახმად, ამომრჩეველთა ერთიან სიას მისამართის მითითების გარეშე რეგისტრირებული და რეგისტრაციიდან მოხსნილი 62 362 ამომრჩევლის მონაცემი დაემატა.

ცესკომ ამომრჩევლებს ამომრჩეველთა ერთიან სიაში მონაცემების გადამოწმების შემდეგი სერვისები შესთავაზა:

- ადაპტირებული ვებგვერდი voters.cec.gov.ge;
- სწრაფი გადახდის 7000 ტერმინალი;
- ანდროიდის სისტემაზე მორგებული აპლიკაცია.

ცესკოს მიერ შეთავაზებული ამომრჩეველთა მონაცემების გადამოწმების სერვისებით 954 543-მა ამომრჩეველმა ისარგებლა



პრიორიზაცია


საარევენო ოერაზივაზი

მიზანი 1: არევნების ორგანიზება/ჩატარება

2016 წელს ჩატარდა საქართველოს პარლამენტის, 2 რიგგარეშე და 3 შუალედური არჩევნები.

საარჩევნო ადმინისტრაციამ უზრუნველყო არჩევნების ჩატარებისთვის საჭირო ინვენტარის შესყიდვა, მასალების მომზადება/ბეჭდვა, მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ელექტრონული რუკის შექმნა.

მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა არჩევნების ორგანიზებასთან დაკავშირებული საქმიანობის წარმატებით განხორციელება.



არჩევნების ჩასატარებლად საჭირო ინვენტარის/მასალების შეძენა

საარჩევნო აღმინისტრაციის მიერ 2016 წელს ჩატარებული ყველა არჩევნებისთვის საფინანსო დეპარტამენტის მიერ განისაზღვრა საჭირო საქონლის/მომსახურების რაოდენობები და მოცულობა.

განხორციელებული სამუშაოების შედეგად შესყიდულ იქნა საჭირო საარჩევნო ინვენტარი, ტექნიკა, სატრანსპორტო, საფოსტო და სარეკლამო მომსახურება, დაიბეჭდა საარჩევნო დოკუმენტაცია, დამზადდა მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ელექტრონული რუკა. 2016 წელს ჩატარებული არჩევნებისთვის განეული ხარჯები იხილეთ ცხრილში (13).

შეჩილი 13

საარჩევნო ხარჯები³⁰

თარიღი	არჩევნები	საარჩევნო ხარჯი
28 იანვარი	თვითმმართველი თემის – გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის რიგგარეშე არჩევნები	628 600
22 მაისი	ქალაქ თბილისის, გარდაბნის, კასპის, წყალტუბოს, ქალაქ ოზურგეთის, ხობისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნები	880 400
8 ოქტომბერი	საქართველოს პარლამენტის არჩევნები	
	თვითმმართველი ქალაქის – ახალციხის მერიისა და თვითმმართველი თემების – ბოლნისის, ხარაგაულის, ჭიათურის, ზუგდიდისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტების გამგებლების რიგგარეშე არჩევნები	35 996 700
30 ოქტომბერი	ლაგოდეხისა და სენაკის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნები	

30 დეტალური ინფორმაცია საარჩევნო ხარჯების შესახებ იხილეთ ბმულზე: <https://electioncosts.cec.gov.ge/>

მიზანი 2: საოცო და საუბრო საარჩევნო ქომისიერის წევრთა კვალიფიკაციის ამაღლება

საარჩევნო პროცესის ორგანიზებისთვის მნიშვნელოვანია საოლქო და საუბრო კომისიების წევრთა კვალიფიკაციის ამაღლება.

2016 წელს ჩატარებული ყველა არჩევნებისთვის განხორციელდა სასწავლო პროგრამების განახლება და ჩატარდა ტრენინგების ციკლი. აგრეთვე, ცესკომ და სწავლების ცენტრმა განახორციელეს სასწავლო პროექტები „საარჩევნო განვითარების სკოლა“ და „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“, რომელთა ფარგლებშიც შეიქმნა საოლქო და საუბრო საარჩევნო კომისიის პოტენციურ წევრთა რეზერვი.

მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა საოლქო და საუბრო საარჩევნო კომისიის პოტენციურ წევრთა რეზერვის შექმნა.

საოლქო და საუბრო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის სასწავლო პროგრამების განახლება/დახვეწა და განხორციელება

საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ 2016 წელს ჩატარებული ყველა არჩევნებისთვის, სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული ტრენინგების კონცეფციის შესაბამისად, საოლქო და საუბრო საარჩევნო კომისიების წევრთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, განხორციელდა სასწავლო კურსი.

საოლქო და საუბრო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის სასწავლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყო სწავლების ცენტრის მიერ მომზადებულმა ტრენერთა კორპუსმა. ტრენინგები ჩატარდა კასკადური მეთოდით.

საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებმა ტრენინგები ორ ეტაპად გაიარეს. პირველი ეტაპი დაეთმო საოლქო საარჩევნო კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების განხილვას, ხოლო მეორე ეტაპი – საოლქო საარჩევნო კომისიის სრული შეადგენლობის ინსტუქტაჟს საარჩევნო უბნებზე კენჭისყრის დღის ეპიზოდური ინსცენირების ჩატარებასთან დაკავშირებით.

საუბრო საარჩევნო კომისიების წევრებმა სწავლება 4 ეტაპად გაიარეს. ტრენინგების პირველ ეტაპზე საუბრო საარჩევნო კომისიების წევრებს ჩაუტარდათ ინსტრუქტაჟი საუბრო საარჩევნო კომისიის პირველ სხდომაზე ხელმძღვანელი პირების არჩევის წესთან დაკავშირებით. ტრენინგების მეორე ეტაპი დაეთმო საუბრო საარჩევნო კომისიების სრული შემადგენლობის სწავლებას, რომლის ფარგლებში განხილულ იქნა კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს საუბრო საარჩევნო კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები. ტრენინგების მესამე ეტაპი დაეთმო საუბრო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირების (თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანი) სწავლებას. სასწავლო პროგრამა მოიცავდა საუბრო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების უფლებამოსილებების განხილვას, ასევე ინტეგრირებული იყო ინოვაციური სასწავლო მოდულები – კონფლიქტების მართვა და არჩევნების უსაფრთხოება, რომელიც სწავლების ცენტრმა, ცესკომა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში შეიმუშავა. ტრენინგების მეოთხე ეტაპზე საუბრო საარჩევნო კომისიების წევრებს ჩაუტარდათ სიმულაციური სწავლება კენჭისყრის დღის ეპიზოდური ინსცენირების ფორმატში.

დამატებითი ტრენინგები ჩატარდა საუბნო საარჩევნო კომისიის შეცვლილი (ახალი) წევრებისთვის და იმ წევრებისთვის, რომლებიც ვერ დაესწრენ გრაფიკით გათვალისწინებულ ტრენინგებს, ასევე სპეციალური ჯგუფისა და გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის.

სწავლების ცენტრმა, აღნიშნული ტრენინგისთვის განაახლა/შეიმუშავა შემდეგი სასწავლო მასალა: დამხმარე სახელმძღვანელო ინსტრუქციები, პრაქტიკული სავარჭიშოების კრებული, ელექტრონულ სასწავლო პროგრამა და სასწავლო ფილმი „კენჭისყრის დღის პროცედურები“. ტრენინგზე გამოყენებულ იქნა სწავლების კომბინირებული მეთოდოლოგია (ვერბალური, პრაქტიკული, ინტერაქტიული და როლური).

ტრენინგები საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის

- ტრენინგის I ეტაპი – საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის მათი კომპეტენციის თაობაზე – 73 საოლქო საარჩევნო კომისიის (53 ძირითადი და 20 დამხმარე) 912-მა წევრმა გაიარა.
- ტრენინგის II ეტაპი – კენჭისყრის დღეს საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ განხორციელებული საქმიანობის თაობაზე – 895-მა წევრმა გაიარა.
- საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებისა და იურისტებისთვის – საარჩევნო კანონმდებლობის სიახლეებზე/საჩივრების რეესტრის წარმოების პროცესთან დაკავშირებული რეკომენდაციები. 4 ნაკადად ჩატარებულ ტრენინგებში 160-მა პირმა გაიარა.
- საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებისთვის – მედიასთან ურთიერთობების საკითხებზე სწავლება – 30-მა თავმჯდომარემ გაიარა.

ტრენინგები საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის

- I ეტაპი – ინსტრუქტაჟი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის.
- II ეტაპი – საუბნო საარჩევნო კომისიას მიკუთვნებული საკითხები – 36 995-მა წევრმა გაიარა.
- III ეტაპი – საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე/მოადგილე/მდივნებისთვის უფლებამოსილებების თაობაზე. ასევე გაიარეს ინტეგრირებული სასწავლო მოდულები კონფლიქტების მართვასა და არჩევნების უსაფრთხოებაზე. სწავლება 10 279-მა ხელმძღვანელმა პირმა გაიარა.
- IV ეტაპი – კენჭისყრის დღის ინსცენირება. ტრენინგი 41 879-მა წევრმა გაიარა.
- დამატებითი ტრენინგი – ახალი (შეცვლილი) წევრებისთვის – 3 343 მონაწილემ გაიარა.
- გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის – 107-მა მონაწილემ გაიარა.
- ტრენინგი სპეციალური ჯგუფის წევრებისთვის, რომელთაც ავღანეთში არჩევნების მომზადება/გამართვა ევალებოდათ – ტრენინგი 19-მა წევრმა გაიარა.

საოლქო და საუბნო კომისიების წევრებისთვის შექმნილი სახელმძღვანელო/ინსტრუქციები



საოლქო და საუბნო კომისიის პოტენციურ წევრთა რესურსების განვითარება

ცესკომ 2016 წელს განხორციელებული სასწავლო პროექტების „საარჩევნო განვითარების სკოლა“, „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“ შედეგად შექმნა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის პოტენციურ წევრთა რეზიტაციური კორპუსი. აღსანიშნავია, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის სტრუქტურის განვითარების მიზანით 2015-2016 წლების მიზანზე განვითარებულ ბაზაზე შექმნილია 2 492 პოტენციურ თანამშრომელთა შესახებ ინფორმაცია.

II

ცესკოს საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის ვრცელი ტრენინგები გამართა სამ ეტაპად. ტრენინგების სესია, რომლებსაც ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის სადამკვირვებლო მისია აკვირდებოდა, ზოგადად, კარგი დასწრებით გამოირჩეოდა და პროფესიონალურად, ასევე ინტერაქტიულად იმართებოდა. ამის გარდა, ცენტრი წარმატებით აწყობდა ტრენინგებს არჩევნებთან დაკავშირებულ თემებზე საარჩევნო პროცესებში ჩართული სხვადასხვა მხარისთვის, რომელთა შორის იყვნენ მედიის წარმომადგენლები, ადგილობრივი თვითმმართველობის ოფიციალური პირები, პოტენციური ქალი განციდატები, საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები და საზოგადოებრივი დამკვირვებელი ორგანიზაციები.

II

საერთაშორისო სახამაზისახელო მისიის ანგარიში

OSCE/ODIHR, OSCE PA, EP, PACE, NATO PA

მიზანი 3: ჩართული მართვისთვის არეალის განვითარების ზესფი ინფორმაციის ღრმადება



კენჭისყრის შედეგების მიმართ ნდობის ამაღლებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩართული მხარეებისთვის ზუსტი ინფორმაციის დროულად მიწოდებას.

2016 წელს ჩატარებული ყველა არჩევნების შედეგების გასაჭაროება დროულად მოხდა.

მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების პირველადი მონაცემების უმოკლეს ვადაში გამოცხადება.

პირველად საქართველოს არჩევნების ისტორიაში, საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის, ცესკომ განახორციელა არჩევნების შედეგების დაფარების პროცესის ტრანსლირების საპილოტე პროექტი. ნებისმიერ მსურველს 360 გრადუსიანი ვიდეო გადაღების ტექნოლოგიის მეშვეობით, ონლაინ რეჟიმში, ცესკომ თფიციალური ვებგვერდის, ვებგვერდების www.facebook.com და www.youtube.com მეშვეობით შეეძლო ცესკომში ხმის დათვლის შედეგების შეჯამების პროცესზე დაკვირვება. ეს ნაბიჭი საარჩევნო ადმინისტრაციამ გამჭვირვალობის, ხელმისაწვდომობის, შედეგების მიმართ ნდობის ხარისხის ასამაღლებლად გადადგა.

არჩევნების შედეგების და სხვა საჭარო სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნება

არჩევნების შედეგების გამოსაქვეყნებლად ცესკო იყენებს სპეციალურ ვებგვერდს.³¹

კენჭისყრის პროცესის დასრულების შემდეგ, საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ არჩევნების მართვის სისტემაში „არმასი“ საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების ატვირთვა ხორციელდება. თითოეული უბნის შემაჯამებელ ოქმს ცესკო მიღებისთანავე ეტაპობრივად ტვირთავს ვებგვერდზე, რომელიც ყველა დაინტერესებული მხარისთვის არის ხელმისაწვდომი.

წელი	არჩევნების დასახელება	ბიულეტენების რაოდენობა	პირველადი მონაცემების გამოცხადების დრო
2012	საქართველოს პარლამენტის არჩევნები	2	უბნის დახურვიდან 8 საათის შემდეგ
2013	საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები	1	უბნის დახურვიდან 4 საათის შემდეგ
2014	ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები	3	უბნის დახურვიდან 6 საათის შემდეგ
2016	საქართველოს პარლამენტის არჩევნები	ძირითადად 2, 8ოგიერთ ოლქებში 3 და 4	უბნის დახურვიდან 5 საათის შემდეგ

31 არჩევნების შედეგების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია შემდეგ ბმულზე <http://results.cec.gov.ge/>

საჭარო ინფორმაციის გაცემა

საარჩევნო ადმინისტრაცია საჭარო ინფორმაციის გაცემის დროს ხელმძღვანელობს „საჭარო ინფორმაციის პროექტიული გამოქვეყნების წესით“.

იურიდიული დეპარტამენტი ყოველწლიურად ამზადებს ანგარიშს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გაცემული საჭარო ინფორმაციის შესახებ.

საჭარო ინფორმაციის გაცემას ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიების მდივნები უზრუნველყოფენ.

2016 წელს გამოხვდი საჭარო ინფორმაციის შესახებ

ანგარიში

1. საჭარო ინფორმაციის გაცემის შესახებ სულ შემოსულია 2 323 მოთხოვნა.
2. საჭარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე საარჩევნო კომისიებში საჭარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროექტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირების (საარჩევნო კომისიების რეგლამენტების შესაბამისად – კომისიების მდივნების) მიერ მიღებულია 2284 გადაწყვეტილება.
3. საჭარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე საარჩევნო კომისიების მდივნების მიერ მიღებულია 39 გადაწყვეტილება.
4. საჭარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ შემოსულია 6 მოთხოვნა.
5. საჭარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ საარჩევნო კომისიების მდივნების მიერ მიღებულია 4 გადაწყვეტილება.
6. საჭარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე საარჩევნო კომისიების მდივნების მიერ მიღებულია 2 გადაწყვეტილება.
7. საარჩევნო კომისიების მიერ საკუთარი სხდომების დახურვის შესახებ გადაწყვეტილება არ მიღებულა.
8. საარჩევნო კომისიების მიერ შეგროვებული, დამუშავებული და შენახული იქნა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 31-ე მუხლით განსაზღვრული დაწესებულებების მიერ მოწოდებული მონაცემები. საარჩევნო კომისიების მდივნების მიერ 208 საჭარო მონაცემთა ბაზა იქნა სხვისთვის გაცემული, ხოლო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევით პერსონალური მონაცემების გაცემის 1 შემთხვევას ჰქონდა ადგილი, რის თაობაზეც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმართ შედგენილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები.
9. საარჩევნო ადმინისტრაციაში საჭარო მოხელეთა მიერ ინფორმაციის თავისუფლების შესახებ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევა არ დაფიქსირდა. შესაბამისად, არც ერთ პასუხისმგებელ პირს არ დაკისრებია დისციპლინური პასუხისმგებლობა.
10. საარჩევნო კომისიების მდივნები საჭარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ეყრდნობოდნენ საქართველოს ორგანულ კანონს „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, საქართველოს კანონებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ და საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს, ხოლო სხდომის დახურვის ფაქტს არ ჰქონია ადგილი.

11. საჭარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული 39 გადაწყვეტილებიდან არც ერთი გადაწყვეტილება არ იქნა გასაჩივრებული.
12. საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ საჭარო ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან საარჩევნო კომისიების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხა, საარჩევნო კომისიებს არ გაუწევიათ.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) და ფონდმა „ლია საბოგადოება – საქართველო“ 2016 წლის ყველაზე ღია საჭარო დაწესებულებებს შორის დაასახელა სწავლების ცენტრი, რომელსაც გადაეცა სპეციალური სიგელი საჭარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 100 პროცენტიანი უზრუნველყოფისთვის. აღსანიშნავია, რომ სწავლების ცენტრი უკვე მესამედ არის აღნიშნული ჰილდოს მფლობელი (2011, 2015 და 2016 წლებში). ასევე, აღნიშნული სიგელით დატილდოვდა ცესკო 2015 წელს.



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების,
რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

ჯილდოვდება

2016 წელს საჭარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
უზრუნველყოფისათვის


გიორგი გოგოლაძე
დირექტორი

www.IDFI.GE

ესკვნა

2016 წელს საარჩევნო ადმინისტრაციამ დაგეგმილი საქმიანობები ძირითადად სრულყოფილად განახორციელა და შედეგად, შეძლო დასახული მიზნების მიღწევა. სამოქმედო გეგმის მიხედვით სულ დაგეგმილი იყო 71 საქმიანობა. ინდიკატორების შეფასების ჭრილში სრულად განხორციელდა – 65, ნაწილობრივ განხორციელდა – 5 და ვერ განხორციელდა – 1 საქმიანობა. ობიექტური მიზეზების გამო ვერ განხორციელდა სერვერული ნაწილის განახლება, ხოლო ნაწილობრივ განხორციელდა: გამოფენის „არჩევნების ისტორია“ ელექტრონული ვერსიის შექმნა, მონაცემთა გამოქვეყნების წესისა და ფორმების შემუშავება, ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება, ადმინისტრაციის ქონების/ მარაგების ელექტრონულ ფორმატში აღრიცხვის სისტემის გაუმჯობესება, სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობის მექანიზმების შექმნა საუბრო საარჩევნო კომისიების შესაფერის შენობებში განთავსების მიზნით.

ცესკომ ასევე, მოახდინა 2016 წელს ჩატარებული არჩევნების ანალიზი და შეფასება. მიღებული გამოცდილების საფუძველზე, გამოიკვეთა შემდეგი გამოწვევები და საჭიროებები:

- საარჩევნო პროცედურების გამარტივება (ხმის დათვლის პროცესის გაუმჯობესება);
- პარტიების რეგისტრაციის პროცესის საკანონმდებლო ჩარჩოს ერთგვაროვნება/დახვეწა;
- წინასაარჩევნო კამპანიის წესების სიცხადე და იმპლემენტაციის შესაძლებლობა;
- პარტიული დამკვირვებლები/მიკერძოებული დაკვირვება;
- გადატვირთული საარჩევნო უბნები, არასამუშაო გარემო;
- პასუხისმგებელ ორგანოებთან თანამშრომლობით მეტი აღაპტირებული საარჩევნო უბნის უზრუნველყოფა სტანდარტების შესაბამისად.

საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ მოხდა გარკვეული პრიორიტეტული საჭიროებების განსაზღვრა და განსახორციელებელი საქმიანობების ასახვა 2017 წლის სამოქმედო გეგმაში. 2017 წელს, სხვა მნიშვნელოვან აქტივობებთან ერთად, დაგეგმილია შემდეგი სიახლეებისა და ძირითადი ცვლილებების განხორციელება:

სერვისები

- თანამედროვე ტექნოლოგიებით რეგისტრაციის პროცესის ელექტრონიზაცია, ონლაინ კომუნიკაციის უზრუნველყოფა საარჩევნო სუბიექტებისთვის, სადამკვირვებლო ორგანიზაციებისთვის, მედია წარმომადგენლებისთვის.
- ამომრჩეველთა ერთიან სიაში მონაცემების გადამოწმების აპლიკაცია iOS სისტემისთვის.

საარჩევნო პროცედურები

- კანონმდებლობით გათვალისწინებული ტექნიკური საკითხების და პროცედურების დახვეწა.

აჩვენები ღა წალიტეობა

- საარჩევნო პროცესში უსაფრთხოების საკითხების გაძლიერება როგორც ადმინისტრაციის დონეზე, ისე შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით.

ამომრჩეველთან პირების კომუნიკაცია

- ქვეყნის მასშტაბით ამომრჩევლებთან მეტად დაახლოება, უშუალო კავშირი, პირისპირ საუბარი საარჩევნო ადმინისტრაციის და არჩევნების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, საარჩევნო ცნობიერების ამაღლება.

2017 წლის ოქტომბერში გაიმართება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკორებულოს, თვითმმართველი ქალაქის მერის და თვითმმართველი თემის გამგებლის არჩევნები. საარჩევნო ადმინისტრაცია გეგმავს პროფესიულ დონეზე და უკეთესად ადმინისტრირებული არჩევნები შესთავაზოს საზოგადოებას.

II

საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის სახელით, მინდა მოგილოცოთ 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების პროფესიულ დონეზე ადმინისტრირება.
ამ არჩევნების დროს მიღწეული პროგრესი უმეტესწილად ემყარება ცესკოს თავდაუზოგავ მუშაობას, რომელმაც ამომრჩეველს შესთავაზა მისი მოლოდინის შესაბამისი მაღალი სტანდარტი.

არჩევნების დღეს, ჩვენი დაკვირვების საფუძველზე, ნათელი გახდა რომ ცესკოს მიერ წლების მანძილზე განეულმა შრომამ უზრუნველყო გაუმჯობესებული საარჩევნო პროცესი ქვეყნის მასშტაბით. 2012 წლიდან დაწყებული მიღწევების საფუძველზე, თქვენ დღემდე აგრძელებთ განვითარებას და უფრო უკეთესად არჩევნების ადმინისტრირებას, რითაც მოიპოვეთ ამომრჩევლის ნდობა და უზრუნველყავით მათი არჩევანი.

II

ეპიზოდ სუნი, პრეზიდენტი

საარჩევნო სისტემების სართაშორისო ფონდი (IFES)

2016 წლის 10 ოქტომბერი

ცენტრალური საარჩევნო კომისია

მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ.

ტელ: 251 00 51

ვებგვერდი: www.cesko.ge

დოკუმენტი მოამზადა კოორდინაციის, დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტმა, ცესკოს სტრუქტურული ერთეულებისა და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის (სწავლების ცენტრი) მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე.

ანგარიშის დიზაინი და დაკაბადონება შესრულებულია ცესკოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომლის ლევან ნოზაძის მიერ.

ანგარიში გამოყენებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ფოტომასალა.

